სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 2 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი უცვლელად 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] пр. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 236 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 236

ჩვენი გაზეთის რედაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მკითხველებს თავის მუშა მწერლის თანამშრომლის

**მაიდნელის (ტრიფონ სალაიას)**

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ქუთაისის სოც.-დემოკრატიულ კლუბიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (ახალი დროით) და წაასვენებენ გურიაში სოფელ მაიდანს. დაკრძალვა კვირას.

სოც. დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და პარტიის წევრთ კომიტეტის წევრის ამხ.

**ტრიფონ სალაიას**

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ სოც. დემ. კლუბის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (ახალი დროით) და წაასვენებენ გურიაში ს. მაიდანს. დაკრძალვა კვირას.

ნინა ვლადიმერის ასული და იოსებ მიხეილის ძე დონჯაშვილები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მათი დაიკო

**ლიზიკო გვახარიას ასული მახარობლიძისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათ. მატინოვის ქუჩა № 6., ბინა № 6.

(2—2)

ალექსანდრა ილიას ასული გვახარია, შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 30 ს ღვინობისთვეს დილის 9 ნახ. საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი ქალი და—და

**ელისაბედ ვლადიმირის ასული მახარობლიძისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 9 ნახ. საათ. მატინოვის ქუჩა № 6, ბინა № 6.

(2—2)

გულდამწვარნი დედა ნინო, ძმები: რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანნა კარდენახლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, გიორგობისთვის 3 ს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ნიკოლოზ იაგალაქიას ძის მირიანაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ზე.

(2—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ივანე და ანასტასია ქადაგიშვილები, შვილებითურთ, მათი რძალი მარიამი და ბიძაშვილი მაშო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზრდა

**ლადო ქადაგიშვილი**

მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე (პავლოვის ქ. № 26) მიასვენებენ წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი 2 ნოემბერს სალამოს 5 საათ.

შაბათს, 2 ნოემბერს, სალამოს 6 საათზე

სახალხო სახლში დანიშნულია სხდომა თფ. მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოსი.

დღის წეს-რიგი:

## საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს რესპუბლიკა.

მომხსენებელნი ირ. გ. წერეთელი და ევ. პ. გეგეჭკორი.

## მუშათა დეპუტატების საბჭოს კრების გამო

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დღეს ისევ იკრიბება მუშათა დეპუტატების საბჭო. ყოველთვის, როდესაც პოლიტიკის დღიურ წეს რიგში თავსატეხი კითხვები დგება, როდესაც ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში გზა ჯვარედინს მივადგებით და საჭირო ხდება რომელიმე გზის არჩევა ჩვენი სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია ამისთანა შემთხვევებში მუდამ თფილისის მუშათა დემოკრატიისაკენ მიმართავს ხოლმე მას ჰკითხავს რჩევას, მასთან ერთად ფიქრობს პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

მუშათა დეპუტატების საბჭოს აზრის გაგება მით უფრო ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, რომ ეს არის ჭეშმარიტი, შეურყეველი დემოკრატიის წარმომადგენლობა, აქ პოულობს თავის გამოხატულებას, სოლიერი განწყობილება დემოკრატიისა დამოუკიდებლათ იმ საზღვრების, რომლებსაც დემოკრატიაში შეაქვთ გათიშვა, დამოუკიდებლათ იმ ზღუდეებისა, რომლებიც დემოკრატიის ლტოლვილებას ამახინჯებენ და ბუნებრივ კალაპოტს აცდენენ.

მუშათა დეპუტატების საბჭო, ეს არის ერთად ერთი დაწესებულება, სადაც წარმოდგენილია მუშათა დემოკრატიის ყველანაირი ნაწილები, მიუხედავათ იმისა, თუ რა ეროვნებას, ან რა პარტიას, რა პოლიტიკურ მიმართულებას ეკუთვნიან ისინი.

დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ მივადექით გზა-ჯვარედინს; ჩვენს წინ კიდევ ერთხელ დგება საბედისწერო საკითხი ჩვენი რესპუბლიკის უკეთ არყოფნისა. ყველა ნიშნებია იმისი, რომ ომს ბოლო ეღება; ჩვენი დემოკრატია, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა უნდა წარსდგეს დიდ სახელმწიფოთა სამსჯავროს წინაშე. რა გზას დავადგეთ ამ საშინელი წამის მოლოდინში? როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა არ გადიქცეს სათამაშო ბურთად დიდი სახელმწიფოების ხელში? აი რა თავსატეხი კითხვის წინ ვართ ჩვენ გაჩერებული. და როგორც ყოველთვის, დღესაც ჩვენს პარტიას არ შეუძლიან მუშათა დემოკრატიის აზრი არ მოისმინოს, მის რჩევას გულდასმით არ ჩაუკვირდეს.

ამ ბოლო დროს ხშირათ გაიგონებთ ჩვენი მტრების ბრაზ მორეულ სიცილს იმის გამო, რომ ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ თითქოს „გააუქმა“ მუშათა დეპუტატების საბჭო. ვისაც ამ საბჭოს ჭეშმარიტი დანიშნულება ესმის, ის მიხვდება, რომ მხოლოდ ჩვენში და არსებობს ნამდვილი მუშათა წარმომადგენლობა, რომ სხვაგან ის ან მართლაც გაუქმებულია კონტრ რევოლიუციის მიერ, ან, როგორც ბოლშევიკურ რუსეთში, ავანტიურისტთა ჯგუფების სათარეშო ასპარეზათ არის გადაქცეული და ყოვლისი სიკვდილის უკიდურეს საზღვრამდის არის მისული. თუ ჩვენში ეს დაწესებულება როლს თამაშობს, სწორეთ იმიტომ, რომ მას ნაპოვნი აქვს თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება. მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა ხელმძღვანელ პარტიას შეატყობინოს აზრი დემოკრატიულ მასსისა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. თუ ჩვენში მუშათა დეპუტატების საბჭო კოტრობას ასცდა, ეგ იმიტომ, რომ მან ხელი აიღო სახელმწიფოს მართვა გამგეობის ფუნქციებზე და ამით იხსნა სახელმწიფო იმ ორ მთავრობიანობიდან, რომელიც სახელმწიფოს ხელფეხს უბორკავდა და ბოლოს ძირს გამოუთხრიდა.

დღეს ჩვენი მმართველი პარტია ისევ წარსდგება მუშათა დემოკრატიის წინაშე, ისევ წარუდგენს მას თავისი მოქმედების ანგარიშს, გულდასმით მოისმენს მის აზრს თავის მოქმედების შესახებ, შეატყობინებს თავისი მოქმედების გეგმას მომავალში.

ჩვენი პარტიისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ამ გეგმის დადასტურება მუშათა დემოკრატიის მიერ: უამისოდ მისი მოქმედება მოკლებული იქნება საჭირო სიმტკიცეს და შეურყევლობას.

## ერთხელ კიდევ ერობაზე

თითქმის ყველა მაზრაში არჩეული საერობო ხმოსნები და ბევრ ალაგას კი გამგეობებიც მოაწყვეს. მაგრამ საერობო მუშაობის ჯერ არა ისმის რა.

ჩვენ, რასაკვირველია, ისე არ ვაყენებთ საკითხს, როგორც ზოგიერთები, რომელნიც ერთმანეთს უპირდაპირებენ ერობის და მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს. ეს ველური თეორია თვითმპყრობელობის დროს წარმოიშვა, როცა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში იყო და ერობაც ვერ გაჰქცეოდა მის კლანჭებს. მაშინ ერობის გარშემო თავს იყრიდა ყველაფერი პროგრესიული და შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებების შეზღუდვას ცდილობდა.

დღეს სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენში. დღეს ყველაფერი დემოკრატიის სახელით და მის საკეთილდღეოთ ხდება. ამიტომ არსებითად ერობაც ერთ-ერთი ორგანოა ცენტრალურ მთავრობის. საქმე ეხება სახელმწიფოებრივ ფუნქციების ისე განაწილებას, რომ საერთო საქმეები უკეთესათ იქნეს წარმართული.

ამიტომ საჭიროა ჩქარა მოხდეს ფუნქციების განაწილება და ერობა შეუდგეს იმ საქმეებს, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

ბევრს ლაპარაკობენ ერობის ბიუჯეტზე. ერობას არ აქვს ფული. ამიტომ ფიქრობენ მთავრობას მიმართონ სესხისათვის.

ეს დიდი შეცდომაა. საქართველოს ცენტრალური მთავრობა ისედაც შევიწროვებულია უფულობით. მას დაატყდა ბევრი ისეთი ხარჯები, რასაც მთელი კავკასიის საჭიროება ითხოვდა. სპეკულიაციის გაძლიერება და ცხოვრების სიძვირე იძულებულს ხდის მას გაადიდოს მოხელეების ჯამაგირი და ეს იმ დროს, როცა გადასახადების სახით თითქმის არც ერთი გროში არსაიდან არ შედის ხაზინაში.

ასეთ პირობებში სესხის თხოვნა არ იქნებოდა კარგი სამსახური სახელმწიფოსათვის. გაცილებით უფრო გონივრული იქნებოდა, ერობა თვით შესდგომოდა ფულის შოვნას.

ამისთვის საჭიროა დაუყოვნებლივ ჩაიბაროს ერობამ ის საქმეები, რომელსაც ადგილობრივ ესაჭიროება პატრონობა და რომელზედაც ხაზინიდან განსაზღვრული თანხაა გადადებული. საავათმყოფოებზე, გზებზე და განსაკუთრებით ადმინისტრაციაზე აუარებელი ფული გადის ხაზინიდან. ერობა ამ საქმეებთან ერთათ თავის სახელზე გადაიტანს სათანადო ასიგნოვკებსაც.

აღნიშნულ საქმეებში ყველაზე მნიშვნელოვანი და საშური ადმინისტრაცია. საერობო დებულებით ერობა არ არის მხოლოდ ეკონომიურ ხასიათის თვითმართველობა, როგორც ეს რუსეთში იყო, ერობა ისეთი ტერიტორიალური ერთეულია, რომელსაც ყველა ადგილობრივი საქმეები აქვს ჩაბარებული. ჩვენებურ ადმინისტრაციის უვარგისობა კი ქვეყნისთვის არის ცნობილი. და უეჭველია ერობა შეუდგება ადმინისტრაციის მოწყობის საქმეს, ის, ეჭვი არ არის, ჩქარა შესძლებს მის გაუმჯობესებას, რაც დიდათ სასარგებლო იქნება მცხოვრებლებისათვის. კარგი ადმინისტრაცია კი დემოკრატიულ წესრიგს დაამყარებს სოფელში და ქალაქში და გადასახადების აკრეფის საქმეს ადვილათ მოაგვარებს.

ასევე საჭიროა სხვა დარგების ჩაბარება და მოვლა.

ვიმეორებთ, ერობა არ უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო ხაზინიდან მოსალოდნელ სესხს, თორემ ისიც პარაზიტად გადაიქცევა და სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას კიდევ უფრო არევს. ერობა უნდა შეუდგეს ცოცხალ მოქმედებას და დრო არ უნდა დაკარგოს დაუსრულებელ სიტყვებით და მიტინგებით.

საჭიროა საქმე, პრაქტიკული მოღვაწეობა და ჩვენც აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენს ნორჩს თვითმართველობებს.

## საქართველო და გერმანია

საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან მას პირველ მფარველად გერმანიის სახელმწიფო გამოუჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო ურთიერთობა დამყარებულია არა კეთილ სურვილებზე და იდეალისტურ გატაცებაზე, არამედ მშრალ ეკონომიურ ანგარიშზე. ჩვენ ვიცით, რომ თვითეული სახელმწიფო თუ ერი ხელმძღვანელობს გარეშე დამოკიდებულებაში თავისი ეგოისტური მიზნებითა და მისწრაფებებით.

მეგობრობა ამის მიხედვით მყარდება იქ, სადაც ინტერესები ხვდება და ეგუება ერთმანეთს ან ინტერესთა ერთობა და შეთანხმება ხდება. საქართველოსა და გერმანიის ინტერესებიც ერთმანეთს შეუთანხმდნენ და ამით ჩვენ შორის მეგობრული კავშირი გაიბა.

გერმანია შემოვიდა ჩვენში როგორც მეგობარი, რომელსაც სურდა და სურს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სიმდიდრით ისარგებლოს და თავის მრეწველობის ნაკლი დასამუშავებელ მასალისა შეავსოს.

საქართველომ მიიღო გერმანია, როგორც მფარველი ოსმალეთის შემოსევისაგან და გადამრჩენი ქვეყნის აწიოკებისა და ამოჟლეტისაგან.

და გერმანიამ პირნათლად შეასრულა თავის მოვალეობა. ჩვენში არ ჰქონია ადგილი არც ბიქის საშინელ სამ დღეს, არც აწიოკებას. საქართველომ შეინარჩუნა არსებობა და რამდენადაც კი შეიძლებოდა სულ ორიოდე თვის განმავლობაში. განიმტკიცა და გაამაგრა თავისი შინაური წყობილება.

ლაპარაკობენ და ხშირად გადამეტებულადაც ლაპარაკობენ ზოგიერთ ისეთ ფაქტებზე, რომელმაც ამა თუ იმ ჯარისკაცის, ან ჯგუფის იუნკრული სულისკვეთება გამოიჩინა. ჩვენ ეს თვითონაც აღვნიშნეთ ერთხელ და გერმანიის მისიის ხელმძღვანელთ მივუთითეთ ამ უკმაყოფილებაზე. მარა ჩვენ ერთი წამითაც არ დაგვავიწყდება, რომ ეს ყოველი წვრილმანი მოვლენაა, წვეთია ზღვაში დიდ პოლიტიკურ კავშირთან შედარებით, რომლის შედეგებს დღესაც გრძნობს ჩვენი ქვეყნის თავისუფლათ დახნული და დათესილი ველ-მინდვრები და თავისუფალი ხალხი, გარეშე საფრთხისაგან თავდახსნილი და შინაურ საქმეებში ენერგიულათ ჩაბმული.

გვექადოდენ, გერმანიის შემოსვლა—ეს რეაქციის გაბატონება, ეს რეფორმების და რევოლიუციის დასამარებაო, გვირჩევდენ მეზობლები, განსაკუთრებით სომხების რუსულ ორიენტაციას გვაყოლოდით.

მაგრამ რას ვხედავთ? სომხეთს ჯერ არც კი უფიქრია რეფორმებზე, რომელიც რევოლიუციამ გვიკარნახა. აზერბეიჯანზე ხომ ლაპარაკიც მეტია. რუსეთის „რეფორმებიც“ ბოლშევიკურ სამოსელში მხოლოდ ენუქას ანდერძით იქცა ან ძარცვა-გლეჯის რეფორმით. ჩვენში კი „რეაქციონური“ გერმანიის შემოსვლას რეფორმების შეჩერება არ გამოუწვევია. ჩვენ ვხედავთ აგრარული რეფორმა ხორციელდება, თავისუფლება მკვიდრდება... ერობა შემოდის, დამფუძნებელ კრებისთვის ვემზადებით... ერთი სიტყვით, აქ რუსეთის დიდი რევოლიუციის უდიდესი ლოზუნგები ხორციელდება. გერმანიის ჯარის შემოსვლამ არა თუ ხელი არ შეუშალა, პირიქით შეგვინარჩუნა პირობები ამ რეფორმების გატარებისათვის. ამრიგათ, ჩვენი მეგობრული განწყობილება გერმანიასთან ურყეველია.

დღეს, როდესაც გერმანია უდიდეს შინაგან რეფორმას განიცდის, როცა მის სათავეში ხალხის წარმომადგენლობის ნდობით აღჭურვილი მთავრობაა ჩამდგარი, ჩვენ ინტერესთა შეთანხმებას თან ერთვის სიმპატია დემოკრატიული, რევოლიუციური ქვეყნისა და წრეები დემოკრატიულ ნიადაგზე გადასულ სახელმწიფოსადმი. ეკონომიურ და ზოგიერთ პოლიტიკურ ინტერესთა შეთანხმებას, თან ერთვის ღრმა სოციალური სოლიდარობა დემოკრატიისა დემოკრატიისადმი.

პარლამენტარული და დემოკრატიული გერმანია ყოველთვის იქნება საუკეთესო მეგობარი ჩვენთვის.

სამშობლო მარქსის და ენგელსის, სადაც უკვე მის იდეის მიმდევართა ლოზუნგების განხორციელება ედება საფუძვლათ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას—ჩვენი სრული თანაგრძნობით ისარგებლებს. გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც საზავო მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, კვლავ ხდება ხელმძღვანელი და წასაბაძი მთელ ქვეყნის მუშათა კლასისათვის.

და რამდენათ ეს კლასი მართველობას უახლოვდება, რამდენათ მისი ხმა—სახელმწიფოებრივ ხმათ ხდება, იმდენათ ჩვენი თანაგრძნობა და სოლიდარობის გრძნობა თვით გერმანიისადმი იზრდება.

თუ დღემდე გერმანიის დახმარებას ჩვენდამი მშრალი ანგარიში ედვა საფუძვლათ, დღეიდან მას ახალი მოტივები დაემატება უკვე სოციალ-პოლიტიკური ხასიათისა. დემოკრატიულ გერმანიასთან ჩვენ საერთო ენას ვპოვებთ არა მხოლოდ დიპლომატიაში, არამედ საერთო მიზნების და სოციალურ მისწრაფებების განხორციელებაში.

მართალია, ის რეფორმები, რომლებიც დღემდე განხორციელდა გერმანიაში კიდევ არ ნიშნავს მილიტარიზმის შემუსვრას, მარა იუნკრების გავლენას იგი უეჭველათ აუქმებს, მილიტარისტულ მისწრაფებებსაც ზღუდავს და ამით ნიადაგს უმზადებს მსოფლიო მილიტარიზმის ქვეშ საფუძვლის გამოთხრას.

საქართველოს დემოკრატია ასეთ მუშაობას მთელი თავის ძალ-ღონით მიემხრობა და მხარს დაუჭერს.

ამ რიგათ, გერმანიასა და საქართველოს შორის დღეიდან შესაძლებელი ხდება უფრო მკვიდრი იდეური კავშირის გაბმა, რაც ამ ორ სახელმწიფოთა მეგობრულ კავშირს კიდევ უფრო გააძლიერებს.

## წარმოება და მუშათა მოვალეობა

დღეს ხშირათ გაიგონებთ პრესაში თუ კერძოთ საუბარში საყვედურებს მუშების მიერ მოვალეობის აუსრულებლობაზე, შრომის ნაყოფიერების დაცემაზე და წარმოების კრიზისზე. სამწუხაროთ, ამ საყვედურებში ბევრი სიმართლეა, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა მთელი დღევანდელი ეკონომიური არევ-დარევა, წარმოების კრიზისი მუშებისთვის მოგვეხვია თავზე. თანამედროვე კრიზისის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ მსოფლიო ომში, რომელსაც დღეს კაცობრიობა აწარმოებს. საერთაშორისო ეკონომიურ კატასტროფას ვერც პატარა საქართველო გადაურჩა და მასაც ძლიერი დაღი დაასვა. ამას ზედ დაერთო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა, მრეწველობის განუვითარებლობა, რომლის შედეგია მასსის კულტურული და ნივთიერი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა. არამც თუ პატარა საქართველო, თვით უდიდესი სახელმწიფოებიც კი, რომლებიც დღეს ომის საშინელებას განიცდიან და მრეწველობის მხრივ მაღალ საფეხურზე იდგნენ, თვით ასეთი სახელმწიფოებიც კი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნენ.

მაგრამ როგორც არ შეიძლება ყოველივე უბედურება მუშათა მოვალეობის აუსრულებლობას დავაბრალოთ, ისე უსაფუძვლო იქნებოდა გვეთქვა, რომ თითქოს ყოველივე უბედურების მიზეზი იმპერიალისტები და კაპიტალისტები იყვნენ. გულწრფელათ უნდა ვაღვიაროთ, რომ წარმოების დაქვეითებაში ჩვენ მუშებსაც გვიდევს ბრალი. საზოგადოების მთელი ნერვი, მისი მამოძრავებელი აპარატი მუშათა კლასია და რამდენათაც დიდია მისი როლი საზოგადოებრივ მოძრაობისათვის, იმდენათ დიდი უნდა იყოს იმ მოვალეობის პასუხისმგებლობაც, რომელიც მას ცხოვრებამ დააკისრა. მუშათა კლასის გონებრივი სიძლიერე მარტო იმით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს, რომ ის დაპირისპირებულია კაპიტალისტების მიერ, არამედ იმითაც, რომ მან უნდა შეჰქმნას ის ღირებულებანი, რომლებიც საფუძველია დღევანდელი საზოგადოების, ცხოვრების წინსვლელობის და მისი განვითარების. როგორც ჩვენ, მუშები, მოვითხოვთ ხოლმე დამქირავებლებისგან დადებულ ხელშეკრულებათა ასრულებას,—ასევე ჩვენც გადადებული უნდა გვქონდეს ჩვენი თვით პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი, რომ მათ საბაბი არ მივცეთ, რომ ყოველივე უბედურების გამომწვევათ ჩვენ დაგვსახონ და წარა-მარათ დემაგოგიურათ ილაშქრონ ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ დღეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და მთელი ჩვენი მოთხოვნილებები, ამ მოთხოვნილების თითეული მუხლი ასეჯერ უნდა იყოს აწონილ-გაზომილი და წარმოებასთან შეფარდებული, რომ მას შედეგათ წარმოების დაცემა და განადგურება არ მოჰყვეს. ეს მოვალეობაა თითოეული მუშისა და ის, ვინც ამას ვერ გაითვალისწინებს, დიდ დანაშაულობას სჩადის, როგორც თავის თავის, ისე მთელი მუშათა კლასის წინაშე. მუშათა მოძრაობის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ მისი ცხოვრება უფრო იქ არის გაუმჯობესებული, მისი სულიერი და კულტურული მოთხოვნილებები შედარებით იქ უფრო დაკმაყოფილებულია, სადაც მუშათა კლასი გათვითცნობიერებულია, ორგანიზაციულად შეკავშირებული და რკინის დისციპლინით აღჭურვილი. მანქანების დამტვრევა და სხვა ასეთი წარმოების განმანადგურებელი საშუალებებისადმი მიმართვა მხოლოდ ძველი დროის ნაშთია, იმ დროის, როდესაც მუშათა კლასი გონებრივად ჩამორჩენილი და გაუთვითცნობიერებელი იყო; თანამედროვე მუშათა მოძრაობამ თავისი ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კაპიტალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა თავისი ეკონომიური ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, რომლებიც მუშათა ინტერესების და მათი მისწრაფების სრული გამომხატველნი არიან. დაწინაურებულ ქვეყნების მუშებში ყოველივე ბოლშევიკურ ანარქისტული გამოსვლები დაგმობილია. პროფესიონალური კავშირები ის ცენტრია, რომლის გარშემო თავს იყრის მუშათა მასსა და რომელიც მას წვრთნის, აჰსწავლის დღევანდელ საზოგადოებრივ უკულმართობასთან ბრძოლას.

საქართველოს რესპუბლიკას ჯერ კიდევ არა აქვს საფრთხე აცილებული გარეშე მტრებისაგან, მას ჯერ კიდევ მრავალი მტრები ჰყავს, რომელნიც მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიან, რომ მოულოდნელად თავს დაესხან და ზურგში მახვილი ჩასცენ. საქართველოს დემოკრატიამ და მისმა თავგანწირულმა

ბრძოლამ შესძლო შინაური ანარქიის ჩაქრობა და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილება. ვინაიდან ყოველი პოლიტიკური ბრძოლა სოციალური მოვლენის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხარე კი—ეკონომიური,—ამისათვის თითოეული ჭეშმარიტ დემოკრატის მოვალეობაა მთელი მისი ენერგია ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობის მოწესრიგებას შესწიროს, მეღი მისი ნიჟი და გამოცდილება მის აყვავებას და ალორძინებას მოახმაროს.

ყოველი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება წარმოების და მოძრაობის შეჩერებისა და დაცემისაკენ,—შეგნებულ დემოკრატიულ წრეებში დაგმობილ და გაკიცხულ უნდა იქნას..

და მხოლოდ მაშინ ვიქნებით ერთგული დარაჯნი და შემოქმედნი ჩვენი ქვეყნისა, საქართველოს მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს საზოგადოებრივ ნდობას, სიყვარულს და საერთაშორისო ოჯახშიაც საპატიო ადგილს დაიჭერს.

კ. კილაძე.

# დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფო სააგენტო).

1 ნოემბერი.

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი** 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. კრონპრინცი რუპრეხტის არმია. ზომერგემთან, ლისზე ჩვენ მოვიგერიეთ ბელგიელთა იერიში. შელდის სამხრეთით და ოიზმალსის ტყესთან დროგამოშვებით საარტილერიო მოქმედება და ქვეითი ჯარის უმნიშვნელო ბრძოლა.

**გერმანიის კრონპრინცის არმია.**

კაპლიონის არხის და სეპტორის სამხრეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. უაზის სამხრეთით დილით ადრე მოვიგერიეთ ფრანგების იერიში. ლანდიფუას ბლინდაჟოვიერთით ბრძოლაში თავი ისახელა მე-270 პოლკმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილებში მტერმა რამდენიმეჯერ მოიტანა ძლიერი იერიში დიდძალი ჯარით და ჯავშნიანი ავტომობილებით, მტერმა მაინც ვერ გაიმარჯვა. მტერმა დროებით შესძლო ჩვენი პოზიციის დაჭერა, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ დავიბრუნეთ ჩვენი პოზიციები. ჯავშნიან ავტომობილების ბრძოლაში განსაკუთრებით მხნედ მოქმედებდა ქვეითა პოლკის № 444 მე-2 როტა, ნაღმის მტყორცნელთა რაზმი, საველე საარტილერიო პოლკი № 1 და თავი ისახელა მე 4 ბატარეის უნტერ-ოფიცერმა კოკოვსკიმ და საველე საარტილერიო პოლკის № 58 ის მე-2 ბატარეის უმცროს ფელდფებელმა ხორნშტეინმა. ბრძოლის ველზე ნიზი-დე კონტისა და ენის შუა საარტილერიო მოქმედება გრძელდება.

**გალვიცის არმია.**

მდ. მაასის ორივე მხარეზე საარტილერიო მოქმედება გუშინ განსაკუთრებით ენერგიული იყო. ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 58 ჰაეროპლანი და 2 საჰაერო ბალონი. ლეიტენანტმა დორმა ჰაერში მე 35 ჯერ გაიმარჯვა, ლეიტენანტმა ხანტილმანმა მე-25 ჯერ.

**ბერლინი.** 31 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში ბრძოლა განახლდა. გოლანდიის საზღვრებიდან შელდამდის, ლისის ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ. ღრინზესა და შელდის შუა მტერი შემოიჭრა რამოდენიმე ადგილას, მაგრამ შევაჩერეთ. შატო პორსიენის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ენის მაღლობებზე ფრანგების ძლიერი იერიში მოვიგერიეთ.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. ჯარის უფროსებმა ჯერ კიდევ 29 ოქტ. გაგზავნეს წარმომადგენელი იტალიის ჯარის უფროსებთან. უნდა გამოეძებნოთ ყოველგვარი საშუალება, რათა შესწყდეს სისხლის ღვრა, საომარი მოქმედება და ჩამოვარდეს დროებითი ზავი. იტალიის ჯარის უფროსებმა პირველათ უარჰყვეს ჩვენი წინადადება და მხოლოდ 30 ოქტ. გენერალ ფონ ვებერმა დეპუტაციის თანხლებით შესძლო შეთანხმება იტალიის უმაღლეს სამხედრო უფროსებთან და ბრძოლის ხაზის გადასვლა. მოლაპარაკების დაწყებისათვის, თუ ამის შემდეგ იტალიის ფრონტზე კიდევ განახლდება საომარი მოქმედება, იმ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეს დააწვება. ხელს აწერს გენერალურ შტაბის უფროსი.

**პარიზი.** 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. სენ-ფიერის დასავლეთ ფერდობზე დღე-ღამის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. ბრძოლა დასრულდა ჩვენს სასარგებლოთ. ტყვეთ ჩავიგდეთ 120 ჯარის კაცი.

**ოსმალეთის ცნობა.**

**ხონსტანტინოპოლი.** 31 ოქტ. სამხედრო ცნობა. ფრონტზე ღირსშესანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 31 ოქტ. ც. ა. კ. ბიჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. (დასაწყისი დამახინჯებულია და არ მიგვიღია..)

სამხრეთის ფრონტი. ვორონეჟი, 30 ოქტ. სამხრეთ ფრონტზე ძლიერი ბრძოლაა. ხშირად სახელდახელო ბრძოლა სწარმოებს, რომლის დროს მოქმედებენ არა თუ ყუმბარებით და ხიშტებით, არამედ კონდახებით და მუშტით. ბერლინი. 30 ოქტ. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ 30 ოქტომბრის ძლიერი შეტაკების შემდეგ რესპუბლიკანური მოძრაობა თანდათან იმარჯვებს. ელიან მუშათა საერთო გამოსვლას. მთავარ ქუჩებზე მიმოსვლა შეჩერებულია. ქუჩებზე დადის პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი. მოედნებზე ხალხი თავს იყრის და დემონსტრაციებს მართავს. დღეს შუადღეზე დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს. გაკრულია დამამშვიდებელი პროკლამაციები, ერც ჰერცოგი(?) ხალხს დახმარებას სთხოვს და ჰუნგრეთის დამოუკიდებლობას პირდება. გააგა. 28 ოქტ. ბელგიიდან იუწყებიან, რომ ფლანდრიის ჯარისკაცებს შორის უკმაყოფილებაა. ისინი უარს ამბობენ ფლანდრიის განადგურებაში მონაწილეობის მიღებაზე. ისინი ინგლისელ ჯარისკაცებით შესცვალეს. ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა ამხედრებული ჯარისკაცები ფრანგების საკონცენტრაციო ცნობილ ბარაკში მოათავსოს. ბერლინი. 30 ოქტ. პოლონეთის გაზეთები უკმაყოფილო არიან მით, რომ ბოლშევიკთა ბელადები თავისუფლათ ბრუნდებიან ვარშავაში და აგიტაციას ეწევიან. ამის გამო მო გერმანიის მთავრობამ პოლონეთში განაცხადა, რომ ამ მოვლენას არ სტოვებს უყურადღებოთ და დაატუსაღა კიდეც მრავალი. კიევი. 31 ოქტ. მინისტრთა საბჭოს თათბირი აქვს იმის შესახებ, თუ რა პოზიცია დაიჭიროს უკრაინის მთავრობამ თუ უკრაინის ტერიტორიაზე მეომარ სახელმწიფოებს ბრძოლა მოუხდათ. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი. უკრაინის სახელმწიფოს მტრებთან საბრძოლველათ სამხედრო მინისტრმა შეიმუშავა კანონ პროექტი სამხედრო საველე სასამართლოს შესახებ. გამოიცა სავალდებულო დადგენილება რომ კიევის მცხოვრებლებმა ორის თვის განმავლობაში პასპორტები გამოიცვალონ. დადგენილების დამრღვევს სამი თვის ციხეს მიუსჯიან.

**ხარკოვი.** 29 ოქტ. ქალაქის განაპირა უბანში ყუმბარების და ასაფეთქებელ მასალების საწყობი აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ განზრახული იყო მთელი რიგი ტერორისტულ აქტებისა. შესწყდა საფოსტო დამოკიდებულება ხარკოვსა, ყირიმსა და დონის შუა. რკინის გზის მუშაობა 1917 წელთან შედარებით სამჯერ შემცირდა. საქონლის გადაზიდვა გაძნელდა და ძალიან ნელა სწარმოებს, რადგანაც ამისთვის საჭიროა მრავალი შუამდგომლობა და თხოვნები. პურის სახელმწიფო ბიურომ ვერ შესძლო განზრახულ რაოდენობის პურის დაგროვება. ვორონეჟი. 30 ოქტ. დონზე უმუშევრობა ძლიერდება. ოფიციალურ ცნობებით უმუშევართა რიცხვი 200,000 აღწევს.

**გერმანიის რადიოს ცნობა.**

ავსტრია-ჰუნგრეთის ვილსონისადმი მიმართული ნოტის შესახებ დილის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ნოტა მოულოდნელი არ იყო და ბოლო ხანებში დუნაის იმპერიაში მომხდარ ამბების აუცილებელი შედეგია. „ბერლინის ბირჟის გაზეთი“ სწერს: რომ კაპიტულიაციის ნოტა აუცილებლობის შედეგი იყო. გაზეთი „გერმანია“ ამბობს, რომ გერმანია ახლა მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული მის შემდეგ, რაც მოკავშირე ავსტრია-ჰუნგრეთმა გადადგა ეს ნაბიჯი აუცილებლობის ძალდატანებით. „ფორვერტსი“ იხსენიებს, რომ გერმანიის ამაცი ახალგაზრდობა და მისი საუკეთესო შვილნი იმისთვის ღვრიდნენ სისხლს, რომ გადაერჩინა დუნაის იმპერია, რომლის შინაგანი დამრკოლებანი და გაჭირვება მსოფლიო ომის პირვანდელი მიზეზი იყო. მაგრამ სეპარატიული ზავის მოთხოვნა სხვა მოლაპარაკებათა უყურადღებოთ წამოაყენა მთავრობამ, რომლის ხმას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დინასტიისთვის. ავსტრიის გერმანელებმა, ჩეხელებმა, სამხრეთის სლავიანებმა, პოლონელებმა და მადიარებმა უკვე გადადგეს ნაბიჯები და საზავო მოლაპარაკება დამოუკიდებლათ დაიწყეს. ამის გამო „ფორვერტსი“ იხილავს ავსტრიის გერმანელთა და ჩეხელებს შორის დამყარებულ ურთიერთობას და აღნიშნავს, იმ ფაქტს, რომ ჩეხელები ახლა ცდილობენ უარი უთხრან მათ თვითგამორკვევის უფლებაზე, მაგალითათ ერთი ჩეხელი გაზეთი სწერს: „ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ჩეხო სლოვაკთა ტერიტორიის მცირე ნაწილიც დათმობილ იქმნას. ჩეხელნი უფრო სამართლიანათ მოეპყრობოდენ გერმანელებს, მაგრამ ჩეხის სახელმწიფოს მოღალატეთა და გამყიდველთა მიმართ სხვაგვარი მოპყრობა ჩვენ არ შეგვიძლიან. ყველა, ვისაც ლოიალობა არ შეუძლიან, უნდა გაყიდოს თავისი ქონება და მიბრძანდეს იქ სადაც ამჯობინებს. ავსტრია-ჰუნგრეთის სეპარატიულ ზავს შეგნებულათ სურს ავსტრიის გერმანელები მსხვერპლათ მიუძღვნას ჩეხელთ, უზრუნველჰყოს ჩეხელნი და ამ მსხვერპლის საშუალებით აამოს მოკავშირე სახელმწიფოებს. „ფორვერტსი“ სწერს: გერმანიის და ავსტრიის გერმანელთა განადგურება შეუძლებელია. გერმანიამ გაუძლო 30 წლ. ომის საშინელებას. დიდი ხნის დამცირება სძლია და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მხოლოდ გეოგრაფიულათ არსებობდა. პირველი მაგალითი იმის, რომ ერის მოსპობა შეუძლებელია, თვით ჩეხელნი არიან. გუსის ომმა, რეფორმაციამ და დევნამ ვერ შესძლო ერის ალორძინებისათვის ხელი შეეშალა. და მათ სურთ 70 მილ. გერმანიის ხალხის დაქუცმაცება. საბრალო, უვიცი ხალხი. ისინი ბოლოს ინანებენ ავსტრიის ბალკანიზაციის და ერის თვითგამორკვევის უფლების დამახინჯების გამო, რომლისთვის ახლაც შეუპოვრათ იბრძვიან ისინი. „ფრანკფურტერ-ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ავსტრია ჰუნგრეთის მთავრობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს იმ დროიდან, როცა სხვადასხვა ერის მოთხოვნილებით ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა არ ამტკიცებს, არამედ თვით ეს ეროვნული ერთეულები.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა გლობინსკიმ გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სტატს-სეკრეტარს, ეკიმ სოლფს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ მე მივიღე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მე მომავალში მუდამ ვეცდები კვლავ დავიცვა და განვამტკიცო მეგობრული განწყობილება მეზობელ სახელმწიფოთა შორის“. სტატს-სეკრეტარმა, ეკიმ სოლფმა, შემდეგი დეპეშით უპასუხა: „მე მოწიწებით მადლობას ვწირავ თქვენს აღმატებულებას ამა თვის 29 რიცხვის დეპეშისთვის, რომლითაც მატყობინებთ თქვენ მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის მიღებას. მე მუდამ ვეცდები ჩვენ შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების შენარჩუნებას.

როგორც „ბერლინერ ტაგებლატი“ იტყობინება, კროაციის, სლოვენიის და დალმაციის დამოუკიდებლობის გამოცხადება ზაგრებში მოხდა. გამოცხადდა, რომ კროაციის სამეფო, სლოვენია და დალმაცია დამოუკიდებელია და არავითარი კავშირი არ აქვს ავსტრიასა და ჰუნგრეთთან. ეს დებულება ამგვარათ იქნა დასაბუთებული: „ჩვენ ვისწრაფით სამხრეთის ყველა სლავიანების გაერთიანებას მათ ეთნოგრაფიულ საზღვრებში, იზონციოდან ვარდარამდე ერთ სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. რადგანაც სლოვენია სამ-ტომიან სახელმწიფოს წარმოადგენს, ამიტომ მისი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ფორმა და კონსტიტუცია უნდა შეიმუშავოს დამფუძნებელმა კრებამ. ახალი სახელმწიფო აშენებული იქნება დემოკრატიულ, ამ სამ ერთა ეროვნულ და სოციალურ თანასწორობის საფუძველზე.

ზაგრების ეროვნული საბჭო იტყობინება, რომ სამხედრო კომენდანტმა ზუგრიჩმა და ლანდვერის კომენდანტმა გენერალმა მიხაილოვიჩმა მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით ეროვნულ კავშირს გამოუცხადა, რომ მზათ არის მას ემსახუროს. მთელი ლანდვერი და ოფიცრობა ეროვნულ საბჭოს ერთგულებაზე დაიფიცეს.

როგორც ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, იქაური პოლიცია ჰუნგრეთის ეროვნულ საბჭოს შეუერთდა. სახელმწიფო მოსამსახურეთა და მუშათა გაფიცვა გრძელდება.

# ომი და ზავი

**მომავალი კონფერენცია ჰააგაში.**

დიპლომატიურ წრეებში მომავალ საშვიდობო კონფერენციის სხდომების ადგილათ ასახელებენ ჰააგას. ამის თაობაზე მოლაპარაკება სწარმოებდა ჰოლანდიის მთავრობასთან და ეს უკანასკნელიც დაჰყაბულდა. ჰააგაში სასწრაფოთ აწესრიგებენ „ზავის სასახლეს“ სადაც იქნება პლენარული კრებები. ამზადებენ აგრეთვე საერთაშორისო ტრიბუნალის შენობას.

**წინასწარი საზავო თათბირი ბერნში.**

ცენტრალურ სახელმწიფოთა საზავო წინადადებას შეთანხმების სახელმწიფოთა მიმართ წინ უსწრობდა კერძო საზავო თათბირები ბერნში. ბერნში თათბირს არავითარი ოფიციალური ხასიათი არა ჰქონია. გერმანიის მხრით სხვათა შორის ამ თათბირში მონაწილეობას იღებდა ყოფილი რეიხს კანცლერი და გერმანიის ელჩი რომში ფონ-ბიულოვი. საფრანგეთის წარმომადგენლათ იყო ყოფილი პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასსე. იტალიის მხრივ საზავო თათბირზე ლაპარაკობდა ყოფილი თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოსი ჯიოლიტი. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საჭიროთ დაინახეს მოეწვიათ თათბირზე რუსეთის ყოფილი ელჩი საფრანგეთში ვ. ა. მაკლაკოვი და იმის წინა მოადგილე ა. ი. იზვოლსკი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყო იმ კითხვის გამორკვევიდან: შეიძლება თუ არა ზავის ჩამოგდება „სტატუს ქვოს“ საფუძველზე. რადგანაც ამ კითხვის შესახებ შეთანხმება ვერ მოხდა, გადასწყვიტეს ემსჯელნათ სხვადასხვა კონკრეტ კითხვებზე.

წინასწარი გარანტიების შესახებაც აზრთა სხვადასხვაობა გამოირკვა. მაგრამ აზრთა გაცვლა გამოცვლამ დაამტკიცა, რომ შეთანხმება შესაძლოა კომპრომისის საფუძველზე.

სრული თანხმობა აღმოჩნდა თათბირის წევრებში იმ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში, რომელ სახელმწიფოებმაც ეს დამოუკიდებლობა ამ ომის დროს დაჰკარგეს—მაგ. ბელგიამ, სერბიამ, მთაშავეთმა და სხვ. თათბირმა აგრეთვე შესაძლებლად სცნო აუნაზღაურდეს ბელგიას მიყენებული ზარალი.

ყველაზე სადაო საკითხი იყო საკითხი ელზას ლოთარინგის და ახალშენების შესახებ. ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ ზოგიერთ ახალშენების დათმობის შესაძლებლობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დადასტურებულ იქნას კურლიანდიის, ლიფლიანდიის და ესტლიანდიის გერმანიისაკენ გადასვლა ან და შექმნა მათგან ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც რაიმე კავშირში იქნება გერმანიასთან.

ელზას-ლოთარინგის შესახებ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა აღნიშნეს იქ რეფერენდუმის მოხდენის საჭიროება.

საერთოდ, ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საზავო მოლაპარაკების დაწყება შეიძლება ვილსონის პროგრამის საფუძველზე, მხოლოდ სხვადასხვა საკითხებში საჭირო იქნება კომპრომისი ორივე მხრივ.

როგორც ფიქრობენ, ბერნის თათბირმა დიდი როლი ითამაშა ზავის დაახლოვების საქმეში. ამ თათბირის პირდაპირი შედეგი იყო გერმანიის ოფიციალური საზავო წინადადება შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვილსონისადმი.

**იაპონიის სოლიდარობა ვილსონის ნოტასთან.**

იაპონიის სამ. მინისტრომ განაცხადა, რომ ის ემხრობა ვილსონის ნოტას.

**ლუქსემბურგის მიმართვა ვილსონისადმი.**

როგორც „ბაზ. და ნახ“ იტყობინება ლიუქსემბურგის მთავრობასა და პარლამენტს მიუმართავს ვილსონისადმი, რომ ის გამოესარჩლოს ლიუქსენბურგს და ეცადოს ეს ქვეყანა გერმანელებს დააცლევინოს.

# ბაქოს შესახებ

ადგილობრივ პრესაში ბევრგვარი აზრები ტრიალებს ბაქოს ამბების ირგვლივ.

ბაქოს ტრაგედიის დასაწყისს ხედავენ იქ „ბოლშევიზმის“ ფეხის მოდგმაში.

ამხ. აიოლლომაც ის აზრი გამოსთქვა თავის მოხსენებაში (20 ოქტ. სახ სახლი)*) თითქოს დასაწყისი ბაქოს ტრაგედიის ყოფილიყოს ამ წლის მარტში.

მიზეზი ბაქოს ამბებისას ასახელებენ ბოლშევიკების მუსავატელების წინააღმდეგ უსაბაბო გალაშქრებას.

ძალა, რომელსაც ბაქოს ტრაგედიის დატრიალებისათვის ხელი შეუწყვია, რომლითაც ბოლშევიკებს უსარგებლიათ, ყოფილა უგზოობის გამო ბაქოში მომწყვდეული სომეხი „ფრონტოვიკები“.

მარტ სექტემბრის ტრაგედიის დასაწყისი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეა. ამ დღიდან წამოყო თავი დროებით მიყუჩებულმა ნაციონალურმა სულისკვეთებამ სომხებში და ადერბეიჯანელებში. ამ ორ ერში ერთგვარი მეტოქეობა შეიქნა, თუ რომელი ერი უნდა ყოფილიყო ამ.-კავკასიაში გაბატონებული და მოწინავე.

ამ შემთხვევაში ქართველმა ერმა თავის ორგანიზაციულად შეკავშირებული, შეგნებული, ძლიერი დემოკრატიის და მათი მესვეურების მეხებით შესაფერი ადგილი დაიკავა. მას სომეხ-ადერბეიჯანელებთან საქიშპო არაფერი ჰქონდა. უკანასკნელნი ამას კარგად გრძნობდენ. საჭირო იყო ამ ორში ერთის ამიერ კავკასიის ისეთ ადგილებში გაბატონება, რომელსაც დიდი ეკონომიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა.

მხოლოდ ამ გზით შეეძლებოდა, რომელიმე მათგანი ამიერ-კავკასიის საქმეებში გადამწყვეტი როლი ჰქონოდა.

ასეთი იყო ბაქო.

ბაქოს მნიშვნელობა აქვს არამც თუ ამიერ კავკასიისა და რუსეთისთვის—არამედ ევროპისათვისაც. ეს იყო მიზეზი, რომ ბაქოს გარშემო სწარმოებდა ბრძოლა. ამავე დროს ორივე ერის მესვეურებს არ ავიწყდებოდათ ცხრაას ხუთში გაღვივებული შუღლი და მტრობა სომეხ მაჰმადიანთა შორის. ეშინოდათ არ განმეორებულიყო ცხრაას ხუთის ამბები. საჭირო იყო ისეთი გზის არჩევა, რომ მათი ნაციონალური სახე არ გამოჩენილიყო.

ამ დროს „ბოლშევიზმი“ ბაქოში თანდათან ფეხს იკიდებდა.

ეს მოვლენა უნდა გამოეყენებიათ ორივე მხარეს და „ბოლშევიზმის“ ხელით ნარი მოეკრიფათ. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მუსავატ დაშნაკელები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ „მემარცხენეობაში“, ბოლშევიზმს ზურგს უმაგრებდნენ და ბოლოს გაამარჯვებინეს კიდეც მას.

მუსავატ დაშნაკელებს ახასიათებდათ შემდეგი: ქალაქის თვითმართველობაში ქალაქის თვითმართველობის მთავრობას იცავდენ, საბჭოში კი საბჭოსას.

შაუმიანი ბოლშევიკურ ილიუზიებით ჰკვებავდა თავის ამხანაგებს და საბჭოს სხდომებზე ყოველ მუსავატ-დაშნაკელების „რევოლიუციონურ“ გამოსვლების შემდეგ, კმაყოფილების ღიმილით აცხადებდა: აი, ხედავთ, ქალ. თვითმმართველობაში მუსავატ დაშნაკელები ბურჟუაზიის წარმომადგენლები ჩვენ წინააღმდეგ იბრძვიან. აქ კი სომეხ-მუსულმანთა მუშების წარმომადგენლები ჩვენთან არიანო.

სოც. რევ. დავთარი აერიათ. მათი ლიდერი ს. სააკიანი დაშნაკურ პოლიტიკას აწარმოებდა და დანარჩენი სოც. რევ. მას კუდში მისჩანჩალებდენ.

მუსავატელების „გამემარცხენებას“ საზღვარი დაედო, დაშნაკელებს „მემარცხენეობაში“ ვეღარ გაჰყვენ.

დაიწყეს საბჭოში ორპირული პოლიტიკის გატარება. საბჭოს გარეთაც არ ეძინათ. ფარულათ ემზადებოდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსასვლელათ. (არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ბრძოლაში ისევე არ გაელღვიდენ სომხის ხალხს, როგორც ეს ჩაიდინეს ომხებმა მარტში მაჰმადიანებისადმი). ამას კარგათ ხედავდენ ბოლშევიკების მეთაურები.

ცდა, სანამ მუსავატისტები მიზნებს მისცემდენ, მტრისათვის მომზადების საშუალების მიცემას ნიშნავდა.

საჭირო იყო მიზეზის გამონახვა ბრძოლის დასაწყებათ. ასეთ მიზეზათ გახადეს ახალგაზრდა ტაგიევის გვამის გამომცილებლები „ველიკულ დივიზიის“ ჯარისკაცების იარაღის აყრა.

თუ ადრე არ ემზადებოდენ, საიდან გამოვიდოდენ ბაქოს მაჰმადიანები დარაზმულები?!

სად იშოვეს იარაღი, როდესაც საწყობები ბოლშევიკების ხელში იყო?

ან, თუ ბოლშევიკებმა არა იცოდენ რა მუსავატის შეთქმულობა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ორმოცი კაცის ლენქორანში იარაღით წასვლას?!

თუ მათი იარაღის აყრა ბაქოს ტრაგედიის ძირითად მიზეზათ ჩაითვლება, შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიის მემკვიდრის მოკვლა მიზეზი ყოფილა საერთაშორისო ომის დაწყებისა.

რასაკვირველია, რომ ამხ. აიოლლო სომხის ნაციონალურ საბჭოს როლზე თითქმის არაფერს ამბობს და მთელს ბრალს მაჰმადიან ბოგანოთა ხოცვაჟლეტაში განსაკუთრებით ბაქოში ჩამორჩენილ „მშიერ სომეხ ფრონტოვიკებს“ სდებს. ის ამტკიცებს სომეხთა ნაციონალური საბჭო ბოლომდის ნეიტრალიტეტს იცავდაო.

ასეც შეპირდენ მუსავატელებს. უკანასკნელებმა შეიარაღებულ გამოსვლის წინ მიმართეს სომ. ნაც. საბჭოს თხოვნით, რათა მათ ნეიტრალიტეტი დაეცვათ, რადგან ისინი (მუსავ.) მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიან. პირველმა სრული ნეიტრალობა აღუთქვა.

თუ არ სომხების „მესვეურების“ აღთქმა, მუსავატი გამოსვლას ვერ გაბედავდა, რადგან მომზადება აკლდა.

როგორც ამხ. აიოლლო ამბობს, თუ რომ მართლა სომეხ „ფრონტოვიკებზე“ იყო საქმე და მათზე სომხ. ნაც. საბჭოს მათში გავლენა არ ჰქონდა და მარტის ტრაგედიის ნაციონალური ხასიათის მიღება მოსალოდნელი იყო, ეს სომხის ხალხის „მესვეურებს“ უფრო კარგათ უნდა სცოდნოდათ.

რათა არ მოიხადეს თავის ზნეობრივი ვალი და მუსავატი არ გააფრთხილეს, პირადათ ჩვენ ბრძოლაში არ გავერევით, მაგრამ ჩვენ ხალხის გარანტიას კი ვერ მოგცემთო.

მოსალოდნელი იყო, ასეთი განცხადება მუსავატს შეაჩერებდა. თუ არ დაიშლიდენ და მაინც გამოვიდოდენ, სომეხთა „მესვეურები“ ხელდაბანილები იქნებოდენ.

მეორე საკითხია:

რათ ღებულობდენ დაშნაკელები ბრძოლაში მონაწილეობას („მემარცხენეები“ კი არა მემარჯვენეები), რაზმებს მეთაურობდენ და სხვ.

„დაშნაკცუტიუნი“ გაბატონებული ფრაქციაა სომეხთა ნაციონალურ საბჭოში და ხიტყვით სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. რომ დაშნაკელები თავის რაზმებით მარტის ტრაგედიის დატრიალებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ, ეს სტკიცდება თვით დაშნაკელების განცხადებიდან, როდესაც ბოლშევიკებმა სამინისტროში მათ ადგილი არ მისცეს. ისინი სახალხოთ გაჰყვიროდენ: ჩვენ გავამარჯვებინეთ, ჩვენ მივეცით ძლევა ბოლშევიკებს, თავგანწირულათ ვიბრძოდით, რომ [illegible] ბოდითო, ღირს მთავრობაში არ გვიშვებთო. [illegible] სად ხედავს ამხ. აიოლლო ნეიტრალობას?

თუ კომისრების არჩევნების დროს დაშნაკელებმა თავი „ნეიტრალობით“ შეიკავეს, რატომ არ გამოაცხადეს ნეიტრალიტეტი ბოლშევიკების მოქმედების დაწუნების ან მოწონების საკითხის გარჩევის დროს და ხმის მიცემით ბოლშევიკების გამოსვლა რათ მოიწონეს? კომისრების არჩევნების დროს თავის შეკავება, მთავრობის გარეშეთ დარჩენის უკმაყოფილებას გამოხატავდა და მეტს არაფერს.

ერთი ადამიანის. ნამოქმედარის მიჩქმალვა შეიძლება, მაგრამ როდესაც მთელი სომხის ნაწილი ქალაქისა მაჰმადიანების წინააღმდეგ გამოდიოდენ—ჰკლავდნენ და სიმდიდრე მათი კი სახლში მიჰქონდათ, ისე როგორც ბაქოს მაჰმადიანებმა ჩაიდინეს სექტემბერში სომხების წინააღმდეგ, ამის ლამაზი სიტყვებით მიჩქმალვა შეუძლებელია.

სომხის ნაციონალისტების უცოდველ კრავათ მოჩვენება, სიმართლის მიფუჩეჩებას ან პირფერობას ნიშნავს.

ერთიცა და მეორეც დაუშვებელია.

იგ. მი—ძე.

*) მე თითონ აიოლოს მოხსენებას არ დავსწრებივარ, ვსარგებლობ თფილისის გაზეთების გადმოცემით. ავტ.

# ტყიბულის მაღაროებში

31 ოქტომბერს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა შრომის მინისტრის ამხანაგს ტყიბულის მუშების გაფიცვის შესახებ.

ამ დღეებში თფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა მაცნობა, რომ ტყიბულში შავი ქვის მომუშავენი გაფიცულან.

მიზეზი ის არის, რომ გზათა სამინისტროს დაედვა მათი ძველი ნამუშევარი 650,000 მანეთი. მუშებმა მოითხოვეს დაუყონებლივ ამ ფულის გასტუმრება და მასთან ერთად წამოაყენეს მოთხოვნილებები: ორი თვის ჯამაგირის მიცემა, პურის გირვანქა 40 კაპეიკათ და გაფიცვის დროს მათ მიეცეთ ჯამაგირი.

ასეთი მოთხოვნილება არღვევს ძველ ხელშეკრულებას, ვინაიდან ჩვენ უნდა მივცეთ მათთვის პური თავისი ღირებულებით.

27 ოქტომბერს ჩვენ გავგზავნეთ ტყიბულში წარმომადგენელი ბახტაძე და გზათა სამინისტრომ—ამაშუყელი და მიეცით დირექტივები. მათ უარი უნდა სთქვან პურის 40 კაპეიკათ მიცემაზე, ვინაიდან მათ არა აქვთ არც იურიდიული და არც ზნეობრივი სიმართლე გაფიცვის დროს ჯამაგირის მოთხოვნაზე, ეს საკითხი უნდა გადაეცეს მომრიგებელ კამერას. თუ მუშები არ მიიღებენ ამ წინადადებას, მათ მიეცემათ ჯამაგირი გაფიცვის დღემდე; დათხოვნილი იქნებიან სამუშაოდან და წარმოება დაიხურება მანამ, სანამ მთავრობა ახალ მუშებს არ მოიწვევს. ჩვენი მოთხოვნილებები მუშებმა უნდა მიიღონ და უნდა დარწმუნდნენ რომ ფულის დაგვიანება არ არის მთავრობის გულცივობით გამოწვეული. 350,000 მანეთი (ძველი ვალი) გზათა სამინისტროს ჰქონდა და მათ გაფიცვამდე არ გამოეცხადებინათ, დღემდე ფული მიღებული ექნებოდათ. ამას გარდა, ჩვენს წარმომადგენელს გავატანეთ 800,000 მანეთი; დანარჩენს ამ დღეებში გავაგზავნით, მაგრამ თუ ფულმა გზაზე დაიგვიანა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მთავრობა მუშებს ყურადღებას არ აქცევს.

მინისტრი მწუხარებით აღნიშნავს იმას, რომ ტყიბულის მუშების გაფიცვები ყოველთვის მაშინ ხდება, როცა საქართველოს რამე უბედურება მოელის და ფიქრობს, რომ ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობენ ბნელი ძალები და განსაკუთრებით კი ყოფილი საზოგადოება „ნახშირას“ უკმაყოფილო მუშები.

29 ოქტომბერს ცნობა მივიღე, რომ მუშები თანახმა არიან პურის 40 კაპეიკათ მიცემაზე უარი სთქვან და გაფიცვის დროს ჯამაგირის მოთხოვნა გადაეცეს მომრიგებელ კამერას.

მაგრამ თხოულობენ დაუყონებლივ მიეცეთ ყველა ხვედრი ფულები. მე დაველაპარაკე პირდაპირ მავთულით ჩვენს წარმომადგენელს: ფულს გამოვგზავნით, თუ ისინი დაუყონებლივ განაახლებენ მუშაობას და გარანტიას მოგვცემენ, რომ მომავალში ისინი არ გაიფიცებიან. გზათა სამინისტრო აუცილებელ საჭიროთ სცნობს მუშებმა მიიღონ შემდეგი მოთხოვნილება: თუ მუშებს სურთ მუშაობის განახლება, შრომის ფასი ძველი უნდა დარჩეს. სურსათი და სხვა სანოვაგე მიეცემა მათ შეძლებისდაგვარად და თავისი ღირებულებით.

ზოგიერთ ადგილებში, სადაც ტეხნიკურათ მოსახერხებელი იქნება, შემოღებულ იქნება 8 საათის სამუშაო დრო,—სადაც ტეხნიკურად ამის შემოღება არ შეიძლება, უნდა დარჩეს ძველი შრომის პირობები. მუშებმა გაფიცვა არ უნდა გამოაცხადონ მანამ, სანამ ამას მომრიგებელი კამერა არ გამოარკვევს და თუ

სამინისტრო არ დაექვემდებარება მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილებას შემდეგ შეუძლიათ გაიფიცონ, როგორც ძველს, ისე ახალს ჯამაგირს მიიღებენ მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ. 650 000 მანეთი ერთი კვირაა გზათა სამინისტროშია და თუ მუშებს დღესაც ვერ მიუღიათ, ეს გაფიცვის მიზეზით.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს მოთხოვნილებები კატეგორიულია და თუ მუშები ამას არ დასთანხმდებიან, წარმოება შეწყდება.

მინისტრი შესაძლებლად ვერ სცნობს გარანტია გადასცეს მუშებს, რომ ყოველ თავის დანიშნულ დროზე მიიღონ ჯამაგირი. ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეიძლება ფულის მიცემა დაგვიანდეს, (ზოგჯერ ხაზინიდან ფულს ვერ ვღებთ და სხვა) მაგრამ ეს არ უნდა გახდეს გაფიცვის გამომწვევ მიზეზათ. მუშებმა უნდა განაცხადონ, რომ ასეთ შემთხვევებში ისინი მუშაობას არ შესწყვეტენ და დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ფულის დაგვიანება არ იქნება მთავრობის გულგრილობით გამოწვეული.

# ახალი ამბები

დღეს, დღის 12 საათზე დანიშნულია საქართველოს პარლამენტის სხდომა.

**ხიდის აფეთქება.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ 1 ნოემბერს, დილის 5 საათზე ვიღაც ბოროტ გამძრახველებს აუფეთქებიათ ხიდი სადგურ მცხეთისა და ქსანს შუა მე 262 ვერსზე. ბოროტმოქმედებს შეუწყვიათ ნაღმი და ხიდის ქვეითა რკინის ნაწილები გაფუჭებულია, ზევითა ნაწილი კი უზიანოთ დარჩენილა. მატარებელთა მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ხიდი გარშემო დინამეტებია შემოყრილი.

**აძერბეიჯანის დიპლომატიურმა** წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ აძერბეიჯანის მთავრობას გადასცენ თფილისის გაზომვის გამგეობიდან ყველა საქმეების, რომლებიც აძერბეიჯანის რესპუბლიკის ოლქებში შედის.

**ოსმალებმა დასტოვეს,** სომხური გაზეთების ცნობით, კამარლიუ, სურმალიუ და იგდირი. ყველა ეს ადგილები დაიკავა სომხის ჯარმა. ლტოლვილები ბრუნდებიან თავიანთ ადგილებში. ოსმალოს ჯარები იძულებულს ხდიან მუსულმანებს მათთან ერთად წავიდნენ.

**სომხეთის წარმომადგენელმა ჯამალიანმა** შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ სომხის რესპუბლიკის თფილისში არსებულ ქონების გამგებლობა და ამ ქონების სომხეთში გადატანის შესახებ მოლაპარაკება მიანდო პოლკ. დოლუხანოვს. მის თანაშემწეთ ინიშნება ზარაფიანი. საწყობის თვალყურის სადევნებლად საქართველოს დარაჯების გარდა ინიშნება დაქირავებული დარაჯები 20 კაცისაგან.

**რადიო ბაქოში.** 30 ოქტომბრიდან აღდგენილ იქნა რადიო-ტელეგრაფი ბაქოსთან, რომელიც შეწყვეტილი იყო ბაქოს ოსმალების მიერ აღების დღიდან.

**ფინანსთა სამინისტროს დირექტორმა** შემდეგი ტელეფონოგრამა დაგზავნა ყველა სამინისტროების სახელზე: „თანახმად სამინისტროთა დირექტორების დადგენილებისა, გთხოვთ, არა უგვიანეს ამა წლის 2 ნოემბრისა, წარმოადგინოთ ცნობები სიძვირის გამო დახმარების რაოდენობის გამოსარკვევად თუ რამდენი მოსამსახური ითვლება თქვენ სამინისტროს დაწესებულებაში. რა კანონის ძალით და რა ჯამაგირით ეძლევათ მათ და რა დამატებითი ჯამაგირები მიუღიათ მათ უკანასკნელ დროს. გთხოვთ აღნიშნოთ ცალკე დაწესებულებანი.

— ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ტყვეების საევაკუაციო კომისია (გოლოვინის პროსპ. № 24) აცნობებს თფილისში მცხოვრებთ, რომ ის ეძლევა ცნობას ყველა იმ სამხედრო ტყვეების შესახებ, რომელნიც დაბრუნდენ კავკასიაში ავსტრია-უნგრეთიდან. იმ პირთ, რომელთაც რაიმე ცნობა აქვთ ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ტყვეებზე კავკასიაში, სთხოვენ შეატყობინონ კომისიას ზევით აღნიშნულ მისამართით.

**სტატისტიკა ზაქათალის შესახებ.** აძერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელმა ჯაფაროვმა სთხოვა გარეშე საქმეთა სამინისტროს მისცეს მას 1917 წლის სტატისტიკური მასალა ზაქათალის ოლქის შესახებ, რომელიც გარეშე საქმეთა სამინისტროში არის.

**რაზმის ჩამოსვლა.** 31 ოქტომბერს საღამოს მატარებლით რაჭიდან თფილისში დაბრუნდა რაჭველ-ლეჩხუმელ მუშებისაგან თფილისში შემდგარი რაზმი, რომელმაც მთავრობის დავალებით იარაღი აჰყარა რაჭის მაზრას. რაზმმა თან ჩამოიყვანა მათ მიერ რაჭაში დატუსაღებული „ცნობილი" მემანქანე ნოე ლეჟავა.

**თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** თანახმად ფაკულტეტის დადგენილებისა სამათემატიკო განყოფილებაზე ლექციები წაიკითხება საღამოობით და არა დილით, როგორც იყო გამოცხადებული. შესავალ ლექციებს უმაღლეს მათემატიკიდან წაიკითხავენ: პროფესორი ა. რაზმაძე დღეს, შაბათს, 2 ნოემბერს საღ. 5 საათზე მე-V თი აუდიტორიაში. ასსისტენტი ა. ხარაძე— ორშაბათს, 4 ნოემბერს, საღ. 5 საათზე იმავე აუდიტორიაში. ლექციების გაწესრიგება უნივერსიტეტში იქნება გამოცხადებული.

**ქართველების ჯარში გაწვევა თერგის ოლქში.** ვინაიდან თერგის ოლქის ზოგიერთ ადგილებში სხვა მოქალაქეებთან ერთად ქართველებსაც იწვევენ ჯარში, საქართველოს მთავრობამ მიმართა თერგის რესპუბლიკის მთავრობას, რათა დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქნან სამხედრო სამსახურისაგან ქართველები თერგის რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებნი.

**ლექცია.** კვირას, სამ ნოემბერს, საღამოს 7 ნახევარ საათზე გერმანიაში ცნობილი ლექტორი დოქტორი ბ-ნი დირი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „გერმანია და ომი". ლექცია გამართულ იქნება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე, ალექსანდროვის ბაღი, ბარიატინსკის ქუჩა. ლექციის შემდეგ დანიშნულია, იქვე, ქართულ-გერმანულ საზოგადოების გამგეობის არაჩვეულებრივი სხდომა. წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ.

**ინტერნაციონალური საღამო.** შაბათს, 2 ნოემბერს ორთაჭალის მუშათა კლუბში, მუშათა კლუბის სასარგებლოთ გაიმართება ინტერნაციონალური საღამო ბილეთის ფასი ყველასთვის 5 მან. 1 მან. 50 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენა.** კვირას, 3 ნოემბერს, ორთაჭალის მუშათა კლუბში წარმოდგენილ იქნება ქართულ ენაზე „არსენა", დრამა 3 მოქ. ალ. ყაზბეგისა. დასაწყისი 8 საათზე.

**სამგლოვიარო დეპეშა.** ვგლოვობთ რევოლიუციის ერთგულ დარაჯის ტრიფონ სალაიას. ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას ქუთაისელ ამხანაგებს. გიორგი ჯალაღანია, იოსებ გუგუნავა.

**მარქსისტ სტუდენტთა საყურადღებოთ.** კვირას, 3 ნოემბერს დილის 11 საათზე ქართულ უნივერსიტეტის 1 აუდიტორიაში დანიშნულია სოც. დემოკ. სტუდენტების ყველა ფაკულტეტების მსმენელთა კრება.

### კრებები.

დღეს, დილის 12 საათზე დანიშნულია სასოფლო კომისიის სხდომა.

— კვირას, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა კლუბის დარბაზში (მიხ. ქუჩა, 65.) შესდგება ს. დ. მ. პ მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

— კვირას, 3 ნოემბერს, დღის 12 ს. მუშტაიდის ბაღში დემოკრატიულ კლუბში მოხდება თფილისში მყოფ ოსების კრება.

### მძარცველების დახოცვა.

30 ოქტომბერს, ღამით, ფიშელევიჩის ბინაზე (არტილერიის ქ.) მივიდნენ რამდენიმე ბოროტ-გამზრახველნი და დაუწყეს კარებზე კაკუნი. ფიშელევიჩის ოჯახობამ მათი ლაპარაკიდან გამოარკვია, რომ ისინი ყაჩაღები იყვნენ და გაგზავნეს კაცი ახლო მდგომ ჯართან დახმარების სათხოვრად. რამდენიმე ჯარისკაცმა მოასწრო მათ და სამი მათგანი შეიპყრეს. დამნაშავენი გადაცმულნი იყვნენ. პირზე „გრიმები" ჰქონდათ. ისინი აღმოჩნდნენ პოროჩ. მოშჩინსკი, ყოფილი აფიცერი გოვოროვი და სპარსეთის გენერალური საკონსულოს ატტაშე ალი გიდაიატ-ხანი. გამოკითხვის შემდეგ დამნაშავენი წაიყვანეს ბარიათინსკის ქუჩით. მილიციონერებმა შეამჩნიეს რამდენიმე ბოროტ-მოქმედნი, მაგრამ ვინაიდან ტუსაღებს ვერ მოშორდებოდნენ, ისინი ვერ დაატუსაღეს. ბარიათინის ქუჩაზე ელექტრონი ჩაქრა და ამ დროს ტუსაღები გაიქცნენ, მაგრამ სამივე იქვე იქნენ მოკლულნი. როცა მილიციონერები დანარჩენ მძარცველებს გამოეკიდნენ, მადათოვის ქუჩასა და ვორონცოვის ძეგლს შორის ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ არავისათვის ზიანი არ მიუყენებიათ.

# ს. ქ. რ. სპ. მოსამსახურე ფარმაცევტებს

ამხანაგებო! ძველი მართვა-გამგეობის დროსაც ჩვენ საერთო ყრილობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლა კი, თავისუფლების ხანაში საშუალება გვეძლევა ერთი ხალხის გაჯანსაღების დარგთაგანი, ფარმაცია, გარდავქმნათ ისე, რომ ის მართლაც ემსახურებოდეს ფართო მასის ინტერესებს. ყველა გრძნობს ნამდვილ საჭიროებას, რომ ჩვენი პროფესია ძირიანად უნდა გარდიქნეს, როგორც მეცნიერულის, ისე ადმინისტრაციულის მხრივ. ამისათვის თფილისის აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტთა კავშირის საერთო კრებამ ამა ოქტომბრის 16-ს გადასწყვიტა, მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა. არჩეულ იქმნა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო, რომელიც შეუდგა უკვე მუშაობას. გადაწყვეტილია ყრილობა გაიხსნას აუცილებლივ პირველ დეკემბერს, კვირას 12 საათზე.

ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ: პროვიზორები, აფთიაქის თანაშემწეები და აფთიაქის მოწაფეები. მონაწილეობას იღებენ როგორც კერძო აფთიაქებში, ისე საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურენი. არა მოსამსახურე ფარმაცევტებს (მოიჯარადრეებს, მწარმოებლებს და სხ.) უფლება ეძლევათ მოხსენებით გამოვიდენ ყრილობაზე, მხოლოდ ეს მოხსენება წინდაწინ განხილულ უნდა იქნეს საორგანიზაციო ბიუროს მიერ.

ბიუროს გადაწყვეტილებით ყრილობა იქნება სახელმწიფო ენაზე, მასთან ქართველი მომხსენებლები მოხსენებებს ადგენენ უსათუოდ ქართულად, არა ქართველებს უფლება ეძლევათ მოხსენება წარმოადგინონ რუსულად.

წარმომადგენლებისათვის ნორმა შემდეგია: ყოველი ათი მოსამსახურე ფარმაცევტი გზავნის ყრილობაზე ერთ წარმომადგენელს, სადაც მხოლოდ რვა მოსამსახურე ფარმაცევტია, იქიდან იგზავნება ერთი წარმომადგენელი, ხუთმეტზე ზევით ოცამდის კი ორი წარმ. სოფლები და დაბები ერთდებიან და აგზავნიან თავიანთ წარმომადგენელს ზემო მოხსენებულ წესით. ყრილობის მოსაწვევ ხარჯების დასაფარავად გადაწყვეტილია გადახდეს ერთდროულად: პროვიზორებს ოცი მანეთი, თანაშემწეებს ხუთმეტი მ. და მოწაფეებს ათი მ., როგორც თფილისში, აგრეთვე პროვინციებში მყოფ ამხანაგებს. საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს, ამ ფულის შეგროვება იკისრონ ორგანიზაციებმა და დაუყოვნებლივ გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: თფილისი, ქალაქის აფთიაქი, საორგანიზაციო ბიუროს ხაზინადარ თედორე ქარცივაძეს. ყრილობაზე გაირჩევა შემდეგი უმთავრესი კითხვები:

1) რეორგანიზაცია საფარმაცევტო უწყების.

2) აფთიაქების მუნიციპალიზაცია თუ ნაციონალიზაცია.

3) ფარმაცევტთა საერთო და სპეციალურ განათლების შესახებ.

4) ქიმიკო-ფარმაცევტიული მრეწველობის მოწყობა საქართველოს რესპუბლიკაში.

5) შექმნა ერთი ხელმძღვანელი ცენტრისა პროფესიონალური თვალსაზრისით:

ა) როგორ უნდა აშენდეს მუშა ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირები ადგილობრივ და ცენტრში.

ბ) კოლექტიური ხელშეკრულება.

გ) ნორმალური შრომის პირობები.

დ) უმუშევართა საკითხი.

ე) შრომის ბირჟის ინსტრუქცია.

6) სახელმწიფო დაზღვევა.

7) პროფესიონალური პრესა. ყრილობის საორგანიზაციო ბიურო გაცნობებთ რა თქვენ, ამხანაგებს ამ ფრიად საყურადღებო დადგენილებებს, გთხოვთ შეუდგეთ ეხლავე ყრილობისათვის სამზადის, მოახდინოთ კრებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომ ყოველივე ყრილობაზე დასასმელი კითხვები უწინარეს ყოვლისა იყვეს ადგილობრივ გაშუქებული.

საორგანიზაციო ბიურო, როგორც თფილისის, აგრეთვე პროვინციებში მყოფ ამხანაგებს მიაწოდებს ყოველივე ცნობებს და დადგენილებებს გაზეთების საშუალებით და წერილების დაგზავნით. ბიუროს მისამართი: ქალაქის აფთიაქი, საორგანიზაციო ბიუროს.

საორგანიზაციო ბიურო.

# მთავრობაში

30 ოქტომბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

მოეწყოს დონისა და ყუბანის მთავრობასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა. დაწვრილებითი და ტეხნიკური შემუშავება, თუ რა პირობებით უნდა წაიღონ მათ ჩვენგან ის, რის მიცემაც კი შეგვეძლება, ნაცვლად პურისა და სხვა სურსათ სანოვაგისა, მიენდოს სასურსათო საბჭოს.

—

იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მოუვიდა „ტრანსპორტის" საზოგადოების მიერ გაგზავნილ მეფურგონეებს ამ წლის 27 ივნისს ახალციხიდან ჩვენი ჯარის ქონების გადმოზიდვის დროს, მიეცეთ მათ 26 ფურგონი თავისი მოწყობილობით და ფულათ 174,765 მანეთი ნაწილ-ნაწილად, რისი შესაფერი კრედიტი გაეხსნას სამხედრო მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან.

—

14 იანვრის, 1918 წლის დეკრეტი გავრცელდეს ყველა ბანკებზე, გარდა სახელმწიფო ბანკისა; მიენდოს ფინანსთა და შრომის მინისტრებს გამოარკვიონ, თუ რომელ კატეგორიის მოსამსახურეებზე ბანკებში ვრცელდება 14 იანვრის დეკრეტი.

—

მიეცეს საქ. იზო მმართველობას ავანსად ათ მილიონიან ფონდიდან 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვის დაუმტკიცებლობის გამო და ამ ხარჯთ აღრიცხვის ანგარიშში 55,114 მან. 95 კაპ. ამ ოქტომბრის ხარჯების დასაფარავად.

—

ბაქოს ბონების დახურდავება ჯერჯერობით შეჩერებულ იქნას.

—

იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა ყოფილი თავად აზნაურობის, აგრეთვე ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების ქონებათა მართვა-გამგეობის წესრიგის შემუშავება, დაინიშნოს მინისტრი.

—

გაეხსნას მიწად-მოქმედების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 75,000 მანეთის კრედიტი სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა ხარჯების დასაფარავად.

# იუსტიციის სამინისტროში

### სასამართლოს გაეროვნება საქართველოში.

იუსტიციის მინისტრმა ოქტომბრის 30 შემდეგი ცირკულიარული ბრძანება გასცა რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებისადმი:

„ვინაიდან საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ქართული ენა იქნა გამოცხადებული, წინადადებას ვაძლევ რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებას, რათა ქართულად დაწერილ ყოველ ქაღალდის მიღება სავალდებულო იყოს მათთვის.

ამასთანავე ვავალებ სასამართლო უწყების დაწესებულებათა უფროსებს, რათა, საცა შესაძლებელია, საქმის წარმოება დაუყონებლივ ქართულად დაიწყონ და ყოველს შემთხვევაში დღიდანვე შეუდგინ სამზადისს და თადარიგს იმისთვის, რომ მომავალ 1919 წლის იანვრის 1 დან ყოველი საქმე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, აღნიშნულ რიცხვის შემდეგ დაწყებული, სწარმოებდეს მხოლოდ ქართულად. ხსენებულ რიცხვის შემდეგ რუსულად წარმოება მხოლოდ 1918 წლის გასვლამდე დაწყებულ საქმეები მათ დამთავრებამდე.

ბრძანება ესე არ ეხება 1918 წ. სექტემბრის 24 ის კანონის ძალით არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ, რომელთაც ხსენებულ კანონის მიერვე დავალებული აქვთ საქმის სახელმწიფო ენაზე წარმოება, დღიდან თანამდებობის მიღებისა.

ამა ბრძანების სათანადო აღსრულება ევალებათ ყველა დაწესებულებათა უფროსებს".

**მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის მსურველთა საყურადღებოთ.**

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სამინისტროს კანცელარია აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვისაც მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მიღება სამინისტრო ჰსურს, რომ მიცემული თხოვნები მომრიგებელ მოსამართლედ დანიშვის შესახებ სამინისტროს მიერ განხილული არ იქნებიან და ამიერიდან სულაც აღარ მიიღებიან სამინისტროს კანცელარიის მიერ. მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის მთხოვნელთ— მიუხედავათ იმისა, შეტანილი აქვთ მათ ამის შესახებ თხოვნა სამინისტროში თუ არა, უნდა პირდაპირ მიჰმართონ თავისის შუამდგომლობით სათანადო ქალაქის საბჭოს ან მაზრის ერობას, რომელთაგანაც არის დამოკიდებული ასეთ თხოვნების დაკმაყოფილება.

**სამინისტროთა დირექტორების** თათბირმა ოქტომბრის 29 ს დროს მესაფერად სცნო, რომ ამიერიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა სამინისტროთა შორის უნდა სწარმოებდეს აუცილებლივ სახელმწიფო ენაზე.

# ფინანსთა სამინისტროში

უკანასკნელი თვის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა მთელი რიგი კანონპროექტებისა, რომელთა მიზანია საქართველოს ხაზინის შემოსავლის გადიდება.

—

ფინანსთა სამინისტროს წინადადებით მთავრობამ დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრს ურთიერთობა გამართოს უკრაინასთან იქიდან საქართველოში შაქრის შემოზიდვის შესახებ. თუ საქმე სასურველად მოგვარდა, მოსალოდნელია შაქრის მონოპოლიის გამოცხადება საქართველოში. განზრახულია 50,000 ფუთი შაქრის მიღება. გირვანქა შაქარზე დაწესდება გადასახადი 1 მ., რაც ხაზინის შემოსავალს წლიურად 24 მილიონ მანეთით გაადიდებს.

—

ჯარისკაცთათვის თამბაქოს, პაპიროსის ქაღალდის, სპიჩქის და სპირტის უაქციზოდ დათმობის კანონ პროექტი მთავრობამ მიიღო. აქედან მოსალოდნელია წელიწადში ნახევარ მილიონ მანეთით შემოსავლის გადიდება.

—

თამბაქოს გადასახადის კანონ პროექტი პარლამენტის დადგენილებით ძალაში შევიდა 1 ენკენისთვიდან. ამით შემოსავალი წელიწადში 14 მილიონ მანეთით იზრდება.

—

პარლამენტს წარედგინა კანონ-პროექტი საქციზო დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ.

—

პარლამენტს წარედგინა კანონ-პროექტი ჩაიზე და მის სუროგატებზე აქციზის დაწესების შესახებ. ამის ცხოვრებაში გატარება შემოსავალს 900,000 მ. გაადიდებს.

—

მთავრობაში შეტანილ იქნა კანონ-პროექტი შაქარზე ერთდროული გადასახადის შესახებ; მოსალოდნელია 2,800, 800 მანეთის შემოსავალი.

—

მთავრობაში წარდგენილია წინადადება საბუფეტო ანგარიშებზე გადასახადების დაწესების შესახებ, რაც მისცემს ახალ შემოსავალს 1500000 მანეთს.

—

მთავრობის მიერ მოწონებული კანონპროექტი სპირტზე ახალი გადასახადის გადიდება წლიურად 1 მილიონ მანეთით გაადიდებს შემოსავალს.

—

მთავრობაში წარდგენილი კანონ-პროექტი ღვინის გადასახადის გადიდების შესახებ წლიურ შემოსავალს 28 მილიონ მანეთით გაადიდებს.

—

ნავთით ვაჭრობის მონოპოლია, რომლის კანონ პროექტიც ფინანსთა სამინისტროს გადასახადების განყოფილებაში მუშავდება, ხაზინის შემოსავალს 50 მილიონ მანეთით გაადიდებს.

—

საქციზო განყოფილებაში მუშავდება კ.-პრ. საქციზო დებულების დარღვევასთან მებრძოლ ზედამხედველ კომისიების დაარსების შესახებ. ეს ღონისძიება საერთოდ უზრუნველყოფს არა პირდაპირ გადასახადების წლიურ შემოსავალს.

ამნაირად, ჩამოთვლილ ღონისძიებათა და კანონ პროექტების ცხოვრებაში გატარებით 230 მილიონ მანეთით გადიდდება ხაზინის შემოსავალი.

# კოლია შუბლაძე

22 ოქტომბერს სოფ. დიდ ჯიხაისში უეცრად გარდაიცვალა ს.-დ. პარტიაში კარგად ცნობილი ამხანაგი მასწავლებელი კოლია შუბლაძე. გული სწუხს, თვალები ცრემლებით ივსება, გონება არ გემორჩილება და სასოწარკვეთილება გიპყრობს ადამიანს, როცა თვალწინ გიჩნდება ცხედარი იმ ადამიანისა, რომელმაც მხოლოდ ტანჯვა წვალებით იმგზავრა ამ ქვეყანაში და რომლის ხვედრი იყო მხოლოდ დევნა, ციხე და ციმბირი. კოლია იყო ღარიბ დედმამის შვილი. მამა მას ადრე გარდაეცვალა და ობლად დარჩენილი პატარა კოლია დედამ მიაბარა დიდი ჯიხაისის ორკლასიან სასწავლებელში, სადაც მან მიიღო პირველ-დაწყებითი ცოდნა. ორკლასიან სკოლის გათავების შემდეგ ის დანიშნულ იქნა მასწავლებლად გორჩა ჯიხაისში, სადაც მან დაიწყო მუშაობა ს. დ. ორგანიზაციებში 1907 წელში კოლია მის ამხანაგ მასწავლებლებთან ერთად დატუსაღებულ და გადასახლებულ იქნა ცნობილ ტოლმაჩევის მიერ ვიატკის გუბერნიაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის დაბრუნდა ვიატკიდან და არალეგალურათ ცხოვრობდა ბათუმში 1908 წელს ის გაანთავისუფლეს და სოფელ სუფსაში დანიშნეს მასწავლებლად. აქედან ისევ ჯიხაისში დააბრუნეს მასწავლებლად. 1910 წელში ის გაჩხრეკილ იქნა ქუთაისის პროკურორის და ჟანდარმის როტმისტრის მიერ და 1911 წელში გაასამართლა 7 ამხანაგთან ერთად (ჯიხაისის პროცესი) სამხედრო სასამართლომ. სასამართლომ ის თუმცა ლა გაამართლა, მაგრამ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ მას ნება არ მისცა ქუთაისის გუბერნიაში სამსახურისა, რის გამო ის იძულებული გახდა თფილისის გუბერნიაში ეძება ადგილი. 1912 წელს ის დანიშნეს ს. მასწავლებლად გორში, სადაც ის დარჩა ორი წელიწადი. ის, როგორც ოჯახში მარტოხელა პირი მიეშურებოდა თავის სოფლისაკენ და 1915 წელს გადავიდა მასწავლებლად ს. გუბში და აქედან ისევ დიდ ჯიხაიში, სადაც ის მასწავლებლობდა სიკვდილამდე პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელში. როგორც მასწავლებელი ის [illegible] ლი იყო, როგორც [illegible] და მუყაითი, [illegible] პატივს სცემდენ მოწაფეები.

მეტად სამწუხაროა მისი უდროვოთ დაკარგვა მისი პირადი მეგობრებისათვის, რომელთანაც ერთად მას ბედმა არგუნა რუსეთის ციხეებში ათასგვარ გაჭირვების ატანა. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მაგრამ ხანგრძლივი იქნება ხსოვნა.

ნოე დევიძე.

# ყაჩაღები ნაქერალას მთაზე

25 ოქტომბერს მე და ერთიც ჩემი ამხანაგი—თფილისელ „რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფის რაზმის" რაზმელი არტ. კობახიძე შემთხვევით მოვხვდით ხარისთვალზე (შორის ქალაზე—რაჭაში) და ადგილობრივ მილიციონერებთან ერთად დილით ადრე წავედით ნაქერალას მთისკენ. გზაში შემოგვხვდა მგზავრი—მეურმე და შეგვეკითხა:—მთის წვერზე, მგზავრების გასაჩხრეკათ იყვნენ გაგზავნილნი მილიციონერები თუ არა? და როცა მიიღო უარ ყოფითი პასუხი,—გვიამბო: რომ ვიღაც სამი უცნობი პირი სდგას იქ, თავის თავს კომისარათ და მილიციონერებათ აცხადებენ და ვითომ იმ განზრახვით, რომ სახაზინო ქონება არავის მიჰქონდეს,—ჩხრეკენ და სძარცვენ ყველასა. ჩვენ მაშინვე მივხვდით, თუ როგორ კომისარსა და მილიციონერებთან გვქონდა ამ შემთხვევაში საქმე და გავეშურეთ მათკენ. ჩვენ ვეცადეთ. რომ მიპარვით თავს დავცემოდით მძარცველებს და ამ მიზნით შარა-გზას გვერდი აუხვიეთ და გზა-წვრილით წავედით. 25 საჟენზე მიახლოვებისას შეგვნიშნეს და ვინტოვკებიდან გვესროლეს, რასაც, რა თქმა უნდა ჩვენი მხრიდანაც სროლა მოჰყვა. სროლამ ერთი საათი მეტი გასტანა, და ბოლოს იძულებული გახდენ ყაჩაღები გაქცეულიყვნენ. მათ მივატოვებინეთ 30 ათას მანეთამდე ღირებული ნაძარცვი სხვადასხვა ნივთები. როცა სროლა მიწყნარდა, კლდეებიდან გამოძვრენ: ერთი მოხუცი—მაგრაქველიძე, სოფ. ბარის მცხოვრები და ერთიც ებრაელი, რომელნიც ყაჩაღებს გაეძარცვათ და დაეტუსაღებინათ. მათი გადმოცემით, სროლის დროს ორი ყაჩაღი დაჭრილა, ერთი ხელში და მეორე მკლავში, მაგრამ მაინც იარაღი არ დაუყრიათ და გაქცეულან. ჩვენის მხრივ არავინ არ დაჭრილა. ყველა ამის შესახებ დაუყონებლივ ვაცნობეთ ნახშირის მაღაროებში და ვთხოვეთ საჭირო დახმარება—გზების შეკვრით და პატრონების გადმოგზავნით, რადგან უკანასკნელი სროლის დროს სრულებით შემოგველია. სანამ ჩვენს ცნობას მიიღებდენ, ნახშირაში გაიგოთ, რომ ყაჩაღები სძარცვავენო თან სროლაც გაუგონიათ და ათი გერმანელი ერთი აფიცრისა და მილიციონერის თანხლებით ჩვენსკენ წამოსულიყვნენ. ისინი უცაბედათ ორის მხრიდან სროლით თავს დაგვესხნენ, რამაც ჩვენის მხრივაც სროლა გამოიწვია, მაგრამ რადგან ჩვენ არ ვიცოდით ყაჩაღები გვესროდენ თუ მილიციონერები და თან პატრონებიც აღარ გვქონდა, უკან, ხიდისკენ დავიხიეთ, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ უკანასკნელი შეტაკება გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული. საჭიროა მთავრობამ გააძლიეროს აქ მილიცია, თორემ ყაჩაღობამ ამ მთაზე სისტემატიური ხასიათი მიიღო და მალე მოგზაურობა შეუძლებელი გახდება.

აკ. გოცირიძე.

# ყუბანის და უკრაინის

### მთავრობათა დამოკიდებულება სომხეთთან.

თფილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის კომისარი უკრაინაში—ტონიევი, რომლის სიტყვით სომხეთის მთავრობამ თვე ნახევრის წინათ გამართა მოლაპარაკება უკრაინის და ყუბანის მთავრობებთან სურსათის შესახებ. მოლაპარაკებამ კარგი შედეგები გამოიღო, რადგანაც სომხეთის ტრაღიკულ მდგომარეობას დიდის თანაგრძნობით შეხვდენ ყუბანის და უკრაინის მთავრობები. მართალია უკრაინა პურს და შაქარს ფულზე არ ყიდის, მხოლოდ საჭირო საგნებზე სცვლის, მაგრამ დასთანხმდენ სომხეთს მისცენ პური და შაქარი ფულზე. უკრაინა დასთანხმდა მისცეს სომხეთს 50 ვაგონი პური და 10 ვაგონი შაქარი. ყუბანის მთავრობამაც აღუთქვა პურის მიცემა. ტონიევს ჰქონია მოლაპარაკება ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე ბიჩთან და სურსათის მინისტრ პანჩენკოსთან. უკანასკნელს აღუთქვამს ტონიევისთვის, რომ ის მზათაა მისცეს 100 ვაგონი პური სომხეთის მთავრობას. მაგრამ რადგანაც არ არსებობს კარგი განწყობილება საქართველოს მთავრობის და მოხალისეთა ჯარს შორის, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ დაიპყრო სოჩის ოლქი, მოხალისეთა ჯარის სარდალმა გამოსცა სასტიკი ბრძანება, რომ არც ერთი ფუ-

თი ხორბალი არ იქნას გატანილი ყუბანიდან საქართველოში.

ტონიევს ჰქონია საუბარი დენიკინის თანაშემწესთან, გენერალ ლუკომსკისთან, რომელიც განაგებს მოხალისეთა ჯარის შტაბის პოლიტიკურ განყოფილებას. გენერალმა განუცხადა ტონიევს, რომ სომხეთის ხალხი ერთიათ ერთი გრიაა ამიერ-კავკასიაში, რომელმაც არ უღალატა რუსეთს და იზიარებს მის ორიენტაციას. მხოლოდ, ვიდრე სოჩის ოლქი არ იქნება დაცლილი ქართველების მიერ, მანამდე მოხალისეთა ჯარი არაფერს არ გაუშვებს ყუბანიდან საქართველოს საზღვრებში. „ჩვენ, განაცხადა გენერალმა, მივიღეთ მხედველობაში საქართველოს საჭიროებანი, არც კი შევჩერდით პირობები საქონლის გაცვლა გამოცვლის შესახებ, დავამზადეთ და ვაპირებდით 250 ვაგონი ხორბალი გაგვეგზავნა საქართველოში. ეხლა ნაბრძანები გვაქვს, გამზადებული პური დავაკავოთ“.

მოხალისეთა ჯარის ხარდლობა დასთანხმდა მიეცეს 100 ვაგონი ხორბალი სომხეთის მთავრობას, მხოლოდ იმ პირობით, თუ საქართველოს მთავრობა დასთანხმდება დაუბრკოლებლივ გაატაროს თავის ტერიტორიაზე პურით დატვირთული ვაგონები. საქართველოს წარმომადგენელმა უკრაინაში ბ. თევზაიამ და საქართ. მთავრობის რწმუნებულმა ნიკოლაძემ განაცხადეს, რომ ასეთი გარანტიის მიცემა შეუძლია საქართველოს მთავრობას. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა არ. ჯამალიანმა სთხოვა საქართველოს მთავრობას, რათა უკანასკნელმა მისცეს ნებართვა პურის დაუბრკოლებლივ გატარების შესახებ, რათა ეს ნებართვა წარედგინოს მოხალისეთა ჯარის შტაბს. („ქ. ს“)

# რუსეთის ცხოვრება

## „სოვნარკომის“ კრიზისი.

**ხარკოვი.** (დ. დ. ს.) მოსული ცნობით, რადგანაც ლენინსა და ტროცკის შუა უთანხმოებაა, კრიზისი სოვნარკომში ძლიერდება. კრემლში შეიძლება გადატრიალებაც მოხდეს. ილმოაჩინეს შეთქმულობა. დააპატიმრეს ბევრნი.

**პეტერსი—„ოხრანნიკია“.**

უფაში მყოფმა ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე პეტერსი ძველი რეჟიმის დროს რიგის „ოხრანის“ წევრი ყოფილა.

**კიზევეტერის დატუსაღება.**

მოსკოვში დაუტუსაღებიათ ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე პროფ. ა. ა. კიზევეტერი მიზეზი—კადეტების პარტიის ცენ. კომ. წევრობაა.

**მუშების უკმაყოფილება.**

**ხარკოვი.** კურსკიდან იტყობინებიან, რომ სორმოვოს ქარხნებში მუშებმა გარეკეს ბოლშევიკური საქარხნო კომიტეტი არჩევნების დროს გაიყვანეს მენშევიკები და ესერები. თავის მხრივ ბოლშევიკებმა დაშალეს ახალი კომიტეტი შეიარაღებული ძალით. მუშები დაატუსაღეს. (უ. დ. ს.)

**გლეხთა მოძრაობა.**

ტულისა, მოსკოვისა და მოგილევის გუბერნიებში გლეხთა მღელვარებაა.

**ზავის სასარგებლოდ მანიფესტაციები.**

მოსკოვში გრანდიოზული მანიფესტაციები საერთო ზავის სასარგებლოდ. თეატრალურ მოედანზე ილაპარაკეს ლარინმა და სტეკლოვმა. გერმანიის წინადადებას სიხარულით შეხვდნენ. მოასმინ ხმები სამოქალაქო ომის გათავების სასარგებლოდ.

**უფის თათბირი და საერთო ზავი.**

უფის თათბირის წევრების ერთ კრებაზე გააკეთეს მოხსენება მომავალი ზავის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ შესაძლებელია მალე მოწვეულ იქნას სამშვიდობო კონფერენცია და შეიკრას საერთო ზავი. დასახელებულ იქნენ შემდეგი კანდიდატები რუსეთის საზავო დელეგაციის წევრებად: მაკლაკოვი, იზვოლსკი, მიხ. სტახოვიჩი, ავქსენტიევი და ჩაიკოვსკი.

**სისხლმარევი პური.**

პეტროგრადის სასურსათო კომისარიატმა შეიტანა პროექტი პურის გამოცხობის დროს სისხლის სარგებლობის შესახებ. სისხლმა შეიძლება ცომის მოზელის დროს წყლის მაგიერობა გასწიოს —ამის გამო გამოცხობის დროს პურის მომატება 90 პროც. ასე. ასე გამოცხობილი პური მეტად ნოყიერია. 10 გირ. ასეთი პურისა ისევე გაძღობს კაცს, როგორც 18 გირ. ჩვეულებრივი პურისა. ამ პროექტის საბოლოო დამტკიცება გადაეცა სამეცნიერო სატეხნიკო კომიტეტს.

**დახვრეტა არყის გამოხდისათვის.**

„გოლოს ტრუდოვოვო კრესტიანსტვა“ იტყობინება: ვიაზმის საგანგებო კომისია აფრთხილებს ყველას ვინც არაყს ხდის, რომ თუ ვინმე შემჩნეული იქნება ამ საქმეში, მყისვე დაიხვრიტება.

**განდიდების მანია.**

„სალამოს იზვესტიაში“ დაბეჭდილია შემდეგი: ც. ა.ლ. კ. „ინოროდცების“ განყოფილება სცემს უამრავ კომუნისტურ ლიტერატურას ჩუვაშების და მორდველების ენაზე. წიგნაკებს აწერია ეპიგრაფად პუშკინის შემდეგი სიტყვები: „И Назоветь меня всякъ сущій въ ней языкъ“.

# ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 24 ოქტომბერს შესდგა სოც. დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა.

განსარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მილიციონერთა მიღება სამსახურში; 2) რაიონის მდივნების შესახებ; 3) რკინის გზის სახელოსნოს მუშების მდგომარეობა; 4) პროცენტების ნორმა თფილისის კომიტეტის სასარგებლოთ; 5) ქალთა ორგანიზაციები; 6) ბასილაშვილის განცხადება; 7) „მუნდის“ თხოვნა.

რაიონის მდივნების შესახებ მოხსენდა კომიტეტს, რომ ზოგიერთი მათგანი ვერ ღებანან თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე. ისინი არ ასრულებენ არც კომიტეტის და არც თფილისის კომიტეტის მდივნის განკარგულებებს; არ რჩებიან განსაზღვრულ დროს რაიონებში, არ აქვთ არავითარი ანგარიში და სხვა. ირკვევა, რომ უკმაყოფილო არიან მათი მოქმედებით თვით რაიონების და კომიტეტის წევრებიც. მიღებულ იქნა რეზოლუცია: 1. „მდივნები სრულებით თავისუფალი უნდა იქნენ სხვა საქმეებიდან, გარდა რაიონისა. (მათ არ აქვთ ნება დაიჭირონ ორი ადგილი). 2. ისინი სრულებით უნდა ემორჩილებოდნენ თფილისის კომიტეტის მდივნის განკარგულებებს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხის მგებელია კომიტეტის წინაშე“.

პროცენტების ნორმათ ყველა რაიონებისათვის მიღებულ იქნა მთელ შემოსავლიდან 25 ნაწილი თფილისის კომიტეტის სასარგებლოთ. (გადასახადი საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ, 10 კაპ. თითო წევრზე არ შედის ამ რიცხვში).

ქალთა ორგანიზაციების შესახებ ძალაში რჩება ძველი დადგენილება თფილისის კომიტეტისა, რომელიც ამბობს, რომ ქალთა პარტიული ორგანიზაციები, როგორც სხვა დანარჩენი ჩვენი ორგანიზაციები, ყველაფერში უნდა ემორჩილებოდნენ პარტიის დადგენილებებს. მათ ნება არა აქვთ დამოუკიდებელ მოქმედებისა. მაგრამ, რომ არ ხდებოდეს ზოგიერთი ქალთა ორგანიზაციების მიერ უტაქტო გამოსვლები, გადაწყდა მოწვეულ იქნას თფილისის ქალთა ორგანიზაციების კომიტეტის სხდომა, სადაც საბოლოოთ უნდა გადაიჭრას ეს კითხვა.

ამხ. ბასილაშვილის განცხადება /გადაეცა გასარჩევათ განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ ორი წარმომადგენელი თფილისის კომიტეტისა: პერონძე, სიხარულიძე და ერთიც მთავარ შტაბის მიერ არჩეული პირი.

„მუნდის“ თხოვნა, რომ მას ნება მისცემოდა ჰყოლოდა ერთი წარმომადგენელი, მომავალ პარტიულ ყრილობაზე სათათბირო ხმით—კომიტეტმა დააკმაყოფილა.

მილიციონერების სამსახურში მიღების შესახებ გადაწყდა მოწვეულ იქნას შეერთებული სხდომა: მილიციონერთა პროფესიონალური კავშირის პრეზიდიუმისა, თფილისის კომიტეტის პრეზიდიუმისა და მილიციის უფროსის თანდასწრებით. ამ კრებულმა საბოლოოთ უნდა გადასჭრას, თუ როგორი წესით უნდა ხდებოდეს მილიციონერთა სამსახურში მიღება.

საკითხი რკინის გზის სახელოსნოს მუშების მდგომარეობაზე, მომხსენებელ ნინუას დაუსწრებლობის გამო მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ამავე თვის 29-ის სხდომაზე კომიტეტს მოხსენდა თფილისის კომიტეტის და მილიციონერთა პრეზიდიუმების აზრი მილიციონერების სამსახურში მიღებაზე. მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: „პარტიული ორგანიზაციები და აგრეთვე კერძო პასუხისმგებელი პირები უნდა უწევდნენ თავდებობას ამა თუ იმ პირთვნებას, რომელსაც ჰსურს მილიციაში სამსახური. მილიციაში მიიღება არამც თუ პარტიის წევრი, არამედ ყველა მსურველი მოქალაქე, რომელიც სათანადო ნდობით იქნება აღჭურვილი. აგრეთვე მილიციონერთა პროფესიონალური კავშირი თავის მხრივ უნდა უწევდნენ რეკომენდაციებს ღირსეულ პირებს, რაც შეეხება ყოფილ პოლიციელების მიღებას—ეს ხდება საერთო წესით. კითხვა იმ პოლიციელების დარჩენა თუ არ დარჩენაზე, რომლებიც დღეს ირიცხებიან მილიციის სამსახურში—სრულებით ენდობა მილიციონერთა პროფ. კავშირს, იმის და მიხედვით, თუ რამდენად საჭიროდ დაინახავს ის, ზოგიერთი მათგანის, სამსახურში დარჩენის აუცილებლობას.

დასასრულ კომიტეტი აძლევს დახმარებას, ავადმყოფ ამხანაგ, ყოფილ პოლიტიკურ დაპატიმრებს, იანვრის—100 მ.

კომიტეტის მდივანი.

# მუშათა შორის

**მოიჯარადრე მეპურეებთან მეწყვანილეთა შორის.** თფილისში ბლომათ არის მწყვანილეულობის ბაღები. ეს ბაღები იჯარით აქვთ აღებული. ამ მოიჯარადრეებს აქვთ ბიურო და არიან შეკავშირებულნი, რომ ებრძოლონ დაქირავებულ მუშებს ერთის მხრივ და მეორე მხრივ ბაღების მეპატრონე მემამულეებს. მუშებთან ბრძოლა შემდეგში გამოიხატება. 14 იანვრის დეკრეტის მიხედვით მუშები უნდა მუშაობდნენ 8 საათს. მოიჯარადრეები ამუშავებენ 16 საათს. ხსენებული დეკრეტით აკრძალულია მცირე წლოვან ბავშვების აყვანა და მუშაობა 16 წლის ქვემოთ. მეწყვანილეებმა (რამოდენიმემ) სრულწლოვანი მუშები დაითხოვეს და მცირეწლოვანი მუშები მიიღეს (ოფლიდანაც ჩამოიყვანეს!). მცირეწლოვანი მუშები 6 საათს უნდა მუშაობდნენ, ამუშავებენ 16 საათს.

ჯამაგირი... ხმელი პური, უშაქრო ჩაი, დაგლეჯილი (დამქირავებლების) ფეხსაცმელ-ტანსაცმელი და რამდენიმე მანეთი თვეში.

ცემა ტყეპა, უშვერი სიტყვებით მუშების ლანძღვა, ეს ჩვეულებრივია. ამ ნაირათ ებრძვიან მუშებს მოიჯარადრე-მეწყვანილენი.

მემამულეებთან მოიჯარადრე მეწყვანილეებს განსაზღვრული დროით აქვთ აღებული ბაღები. ეს დრო გადის. მამულის პატრონი მოითხოვს ბაღის დაცლას ან ფასის, იჯარის მომატებას, მეწყვანილეთა ბიურო უარყოფს ამბობს —არც ვცლით ბაღებს, არც ვუმატებთ იჯარას. რომელი უფლებით?... პასუხის მგებელია ხსენებული ბიურო მემამულე სილოვან ჩოგოლეიშვილმა მამული შეიძინა ორთაჭალის რაიონში. ამით განრისხდა ხსენებული ბიურო. და ჩოგოლეიშვილს გადასახლებას უპირებენ. ხსენებულ ბიუროს აურჩევია რაიონში თითო მოიჯარადრე და აწერინებს ხელს მუშას და ხაზეინს ბიუროს მიერ გამოტანილ, ჩოგოლეიშვილის გადასახლებელ გადაწყვეტილებას. მოიჯარადრეებს რამდენჯერ უნდათ მოაწერონ ხელი ამ შავ ფურცელზე, მაგრამ ჩვენთან, მუშებთან ნუ მოდიხართ და ნუ ატყუებთ მცირეწლოვან მუშებს. შორს ჩვენგან შავი ქაღალდი!.. ჩვენ არ გვაქვს უფლება და სურვილი ს. ჩოგოლეიშვილის გადასახლებისა. ჩვენ კლასიურ ნიადაგზე ვდგევართ და ვიბრძვით ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებისთვის და რაც შეეხება იმ საქმეს, რომელიც თქვენ დაგიწყიათ ეს ჩვენ არ გვეხება... Lotos.

**ყვირილა-შორაპანი.** ყვირილის დეპოს მუშებში, სადაც ერთ დროს რევოლუციური ცეცხლი ღვიოდა, დღეს ძლივს-ღა სდევდეთ სიცოცხლის ელფერი. მათში ბევრის საინტერესო თემა—ღვინო, დროს ტარებაა. ისე ვერსად გაივლი, რომ „მოდი დალიე“ არ დაგიძახონ. ინტრიგები საერთო ჩვენი მოვლენაა და არც ყვირილა შეადგენს გამონაკლის. ორთქმავალს თორმეტი ბრიგადა ემსახურება. საქონლის მატარებლები არაა, რომ „მანევრები“ გამალებული მუშაობდნენ. შავი ქვაც არ მიდის. თორმეტი ბრიგადა მაინც არის. ხაზური კი ნაკლულევანებას განიცდის მემანქანეებზე.

შორაპანშიაც ასეთივე სურათია. ერთ წყვილ მატარებელს ოცდა ათამდე ბრიგადა ემსახურება. შავი ქვა არაა და სხვა საქონელზეც ხომ დროშ დაგვესაჯა. როგორ უნდა გაუძლოს ხაზინამ?

ადგილობრივი კომიტეტები კი ყველა თხოვნებზე აწერენ: „ვშუამდგომლობ“. რამდენი მექრთამეები დაითხოვეს, კვლავ უკანვე მიუღიათ. „ოტპუსკები“ უთვალავია. ავადმყოფობის ბიულეტენებისთვის ხომ ბლანკები აღარ ყოფნით. ადგილობრივ ფერშალ ექიმებმა განთავისუფლებაზე უარი არ იციან.

მოწინავე მუშები იარაღ-შესხმული რესპუბლიკის ფრონტებზე ყოფილან, ხოლო დანარჩენთა რიცხვში, მეტადრე შაბათობით სამუშავარზე ოც პროცენტს ვერ ნახავ ეს კი აღარ ვიცოდი, თუ შაბათს ქირის მიღებაც და სახლში ყოფნაც შეიძლებოდა, მაგრამ ესეც, ალბათ, თავისუფლების ბრალი იქნება. რა ქნას მოწინავე მუშებმა, ორ ფრონტზე ხომ ვერ იბრძოლებენ?

ხაზინა ცარიელდება, რესპუბლიკის მთავარი მტერი ეს მოვლენაა და კვლავ მოწინავე შორაპნის დეპოს მუშებს მივმართავთ, მათ უნდა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას. ერთი დღის სამუშავარს სამ დღეს იზოგავენ, რომ სამუშავარი არ გამოგველიოსო. ძველად შინ შით აკეთებდნენ ყველანი თავიანთ საქმეებს, ეხლა შევნება ვისაც არა აქვს, ის ადმინისტრატიულ განკარგულებებს უცდის, მაგრამ ასეთი ფაა ძნელად თუ მოიძებნება შორაპან-ყვირილის ადმინისტრატორებ კომიტეტებში. ჯამაგირებზე კი ფიცხელ ტელეგრამებს აგზავნიან

მეღვინეები კი მხიარული არიან ხშირი სტუმრებით. ბევრი ისეთია მუშებში, რომელნიც „მოდი დალიე“-ზე ყოველივეს გასცვლის და ქურნალ გაზეთში კი ათ შაურს ვერ დახარჯავენ.

ხაქარელი მ.

# პროვინცია

**ხუფსა (გურია).** მებატონეებს ტყეები ჩამოერთვა და ხალხის ხელში გადავიდა თუ არა, შეესია ყველა, როგორც სუფსის, ისე მახლობელ საზოგადოებებიდან და დაუწყეს მამულებს განადგურება. დღემდის არ აძლევდნენ ნებართვას ტყის მოჭრისას, მაგრამ უნებართვოდაც ხელი არ შეშლიათ. გაზიდეს რაც კი შეიძლებოდა ტყიდან. მთავრობის განკარგულებით ხე ტყის ნებართვა ეძლევათ ქ. ოზურგეთში და ადგილობრივათ, სადაც მამული იმყოფება, რამაც უფრო შეუწყო ხელი ტყის განადგურებას. თავს იმართლებენ იმით, რომ ოზურგეთში წასვლას და ნებართვის აღებას ასი მანეთი უნდაო. რომ სახალხო ტყე დაცული იქნას განადგურებისაგან, საჭიროა დაუყონებლივ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და ბარათების გაცემა დროებით მაინც მოახდინონ ადგილობრივათ, თორემ როდესაც ტყე სავსებით განადგურდება, შემდეგ გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ძველი მებრძოლი.

---

**თამაკონის საზოგადოება** (სამეგრელო). ეს საზოგადოება მდებარეობს ახალი სენაკიდან ოცდა ათი ვერსის მანძილზე და შესდგება ოთხი სოფლისაგან: ნამიკოლევისა, გურძემისა, თარგამეულისა და თამაკონისაგან. ეს საზოგადოება მეტად ჩამორჩენილია ყოველივე კულტურულ განვითარებისაგან. აქ არსებობს მხოლოდ ორ-კლასიანი სასწავლებელი, ამის მეტი ამ საზოგადოებას არ მოეპოვება არაფერი კულტურული დაწესებულებანი. აქ არ არსებობს სამკითხველო, არ არსებობ ფოსტა ტელეგრაფი, აღარ მოდის გაზეთები, წერილები და სხვა. თუ ვინდ აქაურ მცხოვრებს უნდოდეს წერილის და სხვა გაგზავნა და ან ჰქონდეს გაზეთები გამოწერილი, ვეღარ გაგზავნის და ვეღარც მიიღებს. მკვლელობა, ქურდობა და სხვა ბოროტმოქმედება გახშირებულია. აქაური ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყავს ამისთანა საზიზღარ საქციელის წინააღმდეგ. დროა მთავრობამ ამისთანა ჩამორჩენილ საზოგადოებებს ყურადღება მიაქციოს, საჭიროა აქაურმა კომისარმა ყოველივე ღონისძიება იხმაროს აქ გაბატონებულ ბოროტმოქმედების საწინააღმდეგოთ. საჭიროთ ვცნობ დაუყონებლივ დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რითაც მიეცემა საშუალება აქაურ მცხოვრებთ მიიღონ თავის დროზე გაზეთები, წერილები და სხვა, რის გამო ხალხი გაეცნობა დღევანდელ მომენტს. აგრეთვე საჭიროა დაარსდეს სამკითხველო.

ა. დ.

---

**ს. ლესა (გურია).** გურიის რევოლიუციონურ დემოკრატიის შემწეობით არა თუ შიგ გურიაში, არამედ გარეთაც ჩაქრობილ იქნა ბნელ ძალთა გამოსვლები, არავითარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი და ბნელი ძალების მოქმედება ოდნავათ არ სჩანდა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მოისპნენ, გაქრნენ ის ბნელი ძალები, რომლებსაც ხალხის წვალება და ტანჯვა აქვთ მიზნათ დასახული; ერთი წელი იქნება ავერ, რაც დრო გამოშვებით ვილაცეები აკრავენ ადგილობრივ სავაჭროების კარებზე სენსაციური ხასიათის წერილებს, რომელიც სხვათა შორის, მიმართულია ადგილობრივ ზოგიერთ პირების წინააღმდეგ, უფრო ყოფილ აზნაურთა წინააღმდეგდა აგრეთვე გლეხებისაც, სადაც მათ პირდებიან ყოველივე საშინელებას, გადაწვას, დახრჩობას, მოკვლას და სხვა. ამა თუ იმ პირს ამოირჩევენ და ჩაუგდებენ ეზოში წერილს, სადაც სხვადასხვა გვარათ ემუქრებიან. ადგილობრივ ხალხს არაჩოუეს არ დაუტოვებია უყურადღებოთ ეს ფაქტი, ირჩევდნენ კომისიას, იძიებდნენ მაგრამ ამაოთ, კვალს ვერ აგნებდნენ. შემდეგ ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციამ ამოირჩია კომისია, რომელსაც ექსპერტის საშუალებით უნდა გამოეკვლია, ბევრი შრომა დაახარჯა, მაგრამ არ იქნა და არა, ბოროტი ხელის აღმოჩენა. ეხლა ერთი კვირა თუ ორი იქნება, რაც შემდეგი ამბავი მოხდა: შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ადგილობრივ კოოპერ. წინ აუტეხიათ სროლა, რომელიც გაგრძელებულა რამოდენიმე წუთს, შემდეგ ჩვეულებრივ სენსაციური ხასიათის წერილი გამოუკრიათ სავაჭროს წინ და წასულან. ქაღალდზე ხელს აწერს და ბეჭედია „ოზურგეთის მაზრაში მომქმედი დე ტიული ჯგუჯ“ საერთოდ შენიშნულია, რომ არიან ბნელი ძალები, რომლებიც ჩუმათ მუშაობენ, ამღვრევენ წყალს, სთესენ შურს, სძულს უტეხენ მთავრობას, აშინებენ ხალხს, უცრუებენ გულს მუშაობაზე და მრავალი სხვა. მივაქცევთ მაზრის ადმინისტრაციის ყურადღებას, რათა სანამ გვიან არ არის და თავს არ აიშვებენ ბნელი ძალები, მიღებულ იქნას მათ წინააღმდეგ ენერგიული ზომები.

პ ლებელი.

# განცხადებანი

ექიმი

## ლ. ა. სარალიძე

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

## პეპელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (ვიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

---

ექიმი

## გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ქენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამოარჩევა სათვალეები სა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

---

მძ. ქალი რ. ზ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა რჩევას ორსულ ქალებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

---

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდი.

ექ. ა. ნ. [illegible] დილის 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

---

რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.

ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ. გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭავების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ექიმი

## დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

ექიმი

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

ექიმი ზ. მ. მუხაძე

ღებულობს სიფილისით-ქრონ ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ახლოს ცერეთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სუხანიშვილისა. ტელ. № 6—77.

---

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

# მეოთხე რაიონის კოლექტივი

კვირას, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს. დ. მ. პარტიის წევრთა

## საზოგადო კრებას

(ეს კრება გაგრძელებაა მეორე კრებისა)

განსახილველია: 1) მომავალ საოლქო ყრილობის დღის წეს რიგი,
2) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.

ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებელი.

ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

კოლექტივის პრეზიდიუმი.

---

# გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს ორივე სქესისას. სპეციალურად ქართულსა და ისტორიაში. ყორღანოვის ქ. № 24, მიღება ნაშუადღევს 3—5 საათამდე. (2—1)

---

# სამკურნალოების მოსამსახურეთა

პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს და აძლევს ცნობას წევრებს, ვისაც არ შემოუტანია საწევრო ფული პირველ დღიდან კავშირში შემოსვლისა 6—7 თვის განმავლობაში წესდების ძალით გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან გამგეობა სთხოვს წევრებს, რაც შეიძლება ადრე შემოიტანონ საწევრო ფული, არა უგვიანეს 20 ნოემბრისა, ვინც ამას არ შეასრულებს, 21 ნოემბრიდან გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან. საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება გამგეობაში საღამოთი 6—8 საათამდე ყოფილ სასტუმრო „ბომონდში“ ელისაბედის და ნეკრასოვის ქუჩის კუთხე. (3—1) გამგეობა.

---

# თფილისის საქონლის სადგურის

ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ 1 ნოემბრიდან გაზეთ „ერთობაზე“ ხელის მოწერა შეიძლება პროფ. კავშირის კომიტეტის წევრთან ე. ჩიგოგიძესთან. ფულის გადახდაც იქვე შეიძლება. გასული თვეების ფული კი უნდა გადასცეთ ს. ჩიგოგიძეს. (2—1)

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.